კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

გიორგი ხოსრუაშვილი

საერთაშორისო ვაჭრობის ეფექტიანობა ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში

საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

ნაშრომი შესრულებულია საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ასოცირებული
პროფესორი მამუკა თორია

თბილისი 2020

ანოტაცია

შეუძლებელია ქვეყნის ეკონომიკური განვითარება საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების გარეშე. მსოფლიოს ყველა ქვეყანა მონაწილეობს საერთაშორისო ვაჭრობაში. შრომის საერთაშორისო დაყოფის პირობებში, ქვეყანას ყოველთვის სჭირდება რესურსების, სამომხმარებლო საქონლისა და მომსახურების იმპორტი.

ნაშრომის პირველ თავში საუბარია საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ თეორიული შეხედულებების ევოლუციაზე, განხილულია საერთაშორისო ვაჭრობის როლი მსოფლიო ეკონომიკაში და წარმოჩენილია საერთაშორისო ვაჭრობის ეფექტიანობის ანალიზის მეთოდოლოგიური საფუძვლები.

ნაშრომის მეორე თავში განხილულია საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების ძირითადი ფაქტორები. ამის პარალელურად ამ თავში, საუბარი შეეხება გლობალიზაციას, როგორც მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ტენდეციასა.
უნდა აღინიშნოს, რომ მნიშვნელოვანი გარემოებაა განვითარებული ქვეყნების საერთაშორისო ვაჭრობის გაცნობის შესაძლებლობა და მსოფლიო ეკონომიკის განვითარების არსებული ტენდეციების გავლენა საერთაშორისო ვაჭრობაზე

რაც შეეხება ნაშრომის მესამე თავს, აქ საუბარია საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების ტენდეციები საქართველოში. საქართველოს შეუძლია გაიზიაროს სხვა ქვეყნების წარმატებული მაგალითი და საკუთარ პრაქტიკაში დანერგოს. ამავე თავში წარმოჩენილია საქართველოს იმპორტისა და ექსპორტის დინამიკა და მასზე მოქმედი ფაქტორები, ამ თავის ბოლოს კი განხილულია საქართველოს სავაჭრო პოტენციალის ზრდის პერსპექტივები.

ნაშრომის დასკვნით ნაწილში განზოგადებული კვლევის შედეგები.

Annotation

Giorgi Khosruashvili

Effectiveness of international trade in conditions of globalization of the economy

The purpose of this paper is to present the theoretical and methodological foundations of international trade research.

It is impossible to develop a country without the development of international economic relations. Anyway, all countries in the world are involved in international trade, because none of them can be self-sufficient and provide their own production and population.

With the international division of labor, the country always needs it to import resources, consumer goods and services. The main source for covering import costs is export.

The first part of the paper deals with the evolution of theoretical views on international trade, discusses the role of international trade in the world economy and presents methodological foundations for analyzing the effectiveness of international trade.

The second chapter of the paper discusses the key factors for the development of international trade. In parallel to this chapter, we will talk about globalization as a tendency for the development of the world economy.

As for the third chapter of the paper, there is a tendency for international trade development in Georgia. Georgia can share the successful example of other countries and implement its own practice. The same chapter presents the dynamics of Georgia's import and export and the factors affecting it. At the end of this chapter, the prospects for increasing Georgia's trade potential are discussed.

შინაარსი

შესავალი ---------- 4

თავი 1. საერთაშორისო ვაჭრობის კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები---------- **9**

1.1 საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ თეორიული შეხედულებების ევოლუცია ----9

1.2 საერთაშორისო ვაჭრობის როლი მსოფლიო ეკონომიკაში ----------21

1.3 საერთაშორისო ვაჭრობის ეფექტიანობის ანალიზის მეთოდოლოგიური საფუძვლები ----------31

თავი 2. საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების ძირითადი ფაქტორები----------**39**

2.1 გლობალიზაცია, როგორც მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ტენდეცია-----39

2.2 მსოფლიო ეკონომიკის განვითარების არსებული ტენდეციების გავლენა საერთაშორისო ვაჭრობაზე----------44

თავი 3. **საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების ტენდეციები საქართველოში------48**

3.1 საქართველოს იმპორტისა და ექსპორტის დინამიკა და მასზე მოქმედი ფაქტორები----------48

3.2 საქართველოს სავაჭრო პოტენციალის ზრდის პერსპექტივები----------59

დასკვნა ----------**64**

გამოყენებული ლიტერატურა----------**66**

შესავალი

მრავალსაუკუნოვან ისტორიას ითვლის საგარეო ვაჭრობა. დღემდე არ არის ცნობილი თუ როდის განხორციელდა პირველი საგარეო ვაჭრობის ოპერაციები. უნდა წარმოჩინდეს, რომ საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები ისტორიულად პირველად მაშინ ჩაისახა, როდესაც ადამიანთა ცალკეულმა ჯგუფებმა, ტომებმა აწარმოეს იმ რაოდენობაზე მეტი პროდუქცია, რამდენსსაც თვითონ მოიხმარდნენ, რამაც შექმნა ამ ჭარბი პროდუქციის ურთიერთგაცვლის აუცილებლობა, ამა თუ იმ პროდუქტზე არსებული მოთხოვნის უფრო მრავალფეროვნად დაკმაყოფილების მიზნით. ძალიან ბევრი მეცნიერი ცდილობს ახსნას თუ რატომ ვაჭრობენ სახელმწიფოები ერთმანეთთან. აღსანიშნია, რომ არსებობს და დამუშავდა საერთაშორისო ვაჭრობის უამრავი თეორიები, ამიტომაც არის, რომ ამოუწურავია გამოსაკვლევ საკითხთა წრე ამ სფეროში.

საკითხის აქტუალობა. საერთაშორისო ვაჭრობა მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ეკონომიკის განვითარებაში და საგრძნობი წვლილი შეაქვთ მდგრადი და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფაში. ძლიერი და კარგად განვითარებული საერთაშორისო ვაჭრობა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ექსპორტს, ინოვაციებს, თანამედროვე სამეწარმეო კულტურის შექმნას და ამავე დროს, განსაკუთრებულ როლს ასრულებს ქვეყნის კეთილდღეობის დონის ამაღლებაში.

საკითხის აქტუალობას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ საგარეო ვაჭრობის კლასიკური, ნეოკლასიკური და ალტერნატიული თეორიების ჩვენს მიერ შემოთა-ვაზებული ფორმალიზაცია აადვილებს საერთაშორისო ვაჭრობიდან მოსალოდნელი

ეფექტების, საერთაშორისო ვაჭრობის პირობების, შემოსავლების მნიშვნელოვანი გადიდების საერთაშორისო ვაჭრობაზე გავლენის, იმპორტჩანაცვლებადი ეკონომიკირი ზრდის და სხვა მსგავსი პრობლემის კვლევას ორზონიან ასპექტში.

აღსანიშნია, რომ ბოლო წლების განმავლობაში, საქართველომ მნიშვნელოვანი რეფორმები განახორციელა, მათ შორის, ეკონომიკური რეფორმები, რომელთა მთავარი მიზანი იყო ბიზნესის კეთების და პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა, ეკონომიკის ლიბერალიზაციის, ადმინისტრაციული ბარიერებისა და საგადასახადო ტვირთის შემცირების, სახელმწიფო სერვისების გაუმჯობესების, კორუფციასთან ბრძოლისა და სხვა გზებით. ამ რეფორმების შედეგად, საქართველომ ეკონომიკური ზრდის მაღალ მაჩვენებლებს მიაღწია. ამასთან, მნიშვნელოვნად გაიზარდა ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადები. საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკა დადებითად იქნა შეფასებული სხვადასხვა სარეიტინგო სააგენტოების და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ და შესაბამისი შედეგები აისახა იმ ინდექსებსა და რეიტინგებში, რომლებითაც ფასდება ქვეყნების ეკონომიკური თავისუფლება. ამასთან საქართველოს ეკონომიკის გაჯანსაღებაში საერთაშორისო ვაჭრობას მნიშვნელოვანი როლი აკისრია. საქართველო თანდათან ცდილობს თავისი ადგილი დაიმკვიდროს მსოფლიო ბაზრებზე და ძირითადად ეს ხდება ისეთი დარგების გამოყენებით, რომლებსაც გააჩნია თავისი პერსპექტივები პროდუქციის ქვეყნის გარეთ გატანის მხრივ.

კვლევის მიზანი. საერთაშორისო ვაჭრობის კვლევის ანალიზის საფუძველზე სახელმწიფოს განვითარებისთვის საჭირო აუცილებელი საერთაშორისო სავაჭრო ფაქტორების განსაზღვრა და რეკომენდაციების შემუშავება ეფექტიანი კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებისთვის.

კვლევის მთავარი მიზანია ასევე, საქართველოში საერთაშორისო ვაჭრობისთის ხელისშემწყობი გარემოს შესწავლა, ასევე მსოფლიო ეკონომიკის განვითარების არსებული ტენდეციების გავლენის შესწავლა საერთაშორისო ვაჭრობაზე და მათი

ფორმირებისა და განვითარების ეფექტური მიმართულებების შემუშავება. ნაშრომის ძირითადი ამოცანებია:

- საერთაშორისო ვაჭრობის კვლევის არსის თაობაზე არსებული შეხედულებების ანალიზი.
- საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების ეტაპების დადგენა და მათი თავისებურებების გამოვლენა.
- საერთაშორისო ვაჭრობის ადგილის განსაზღვრა თანამედროვე საბაზრო სისტემაში.
- საბაზრო ეკონომიკის გარემოს ფაქტორთა ზეგავლენის ანალიზი საერთაშორისო ვაჭრობის მდგომარეობასა და განვითარებაზე.
- საერთაშორისო ვაჭრობის მდგომარეობის, განვითარების ტენდენციებისა და მათი გამოვლენის თავისებურებების შესწავლა ეროვნულ და რეგიონულ ჭრილში.
- საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების შესაძლებლობებისა და ძირითადი მახასიათებლების შემუშავება ახლო და უახლეს პერსპექტივაში.
- საერთაშორისო ვაჭრობის სახელმწიფო მხარდაჭერის თანამედროვე ფორმებისა და მეთოდების თეორიული ასპექტების შესწავლა. საერთაშორისო ვაჭრობის სახელმწიფო მხარდაჭერის სისტემის კონცეფციის შემუშავების მცდელობა.

საკვლევი საგანი და ობიექტი. საკვლევ საგანს წარმოადგენს საერთაშორისო ვაჭრობის ძირითადი თეორიებისა და მახასიათებლების განხილვა და ანალიზი. ასევე კველევის საგანს წარმოადგენს გლობალიზაციის პირობებში საქართველოს საექს-პორტო პოტენციალის ამაღლების ძიება.

კვლევის თეორიული და მეთოდოლიგიური საფუძვლები. კვლევის დროს გამოყენებული იქნება ქართველ და უცხოელ მეცნიერთა ნაშრომები. ოფიციალური ვებგვერდები და საკანონმდებლო აქტები. კვლევის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს საერთაშორისო ვაჭრობის კლასიკური თეორიები. ასევე თეორიების ახალი ჯგუფი, რომლების საერთაშორისო ვაჭრობის სხვა კლასიკური თეორიებისაგან

პრინციპულად განსხვავებულ ახსნას გვთავაზობს. გამომდინარე იქიდან, რომ საკითხის მუდმივად განიცდის ცვლილებებს, ამომწურავად შესწავლა შეუძლებელია.

პრობლემის კვლევის მდგომარეობა. სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას ჩვენს მიერ გამოყენებული იქნა, როგორც უცხოური, ასევე ქართველი მეცნიერ მკვლევარების შრომები, მათ შორის რ. აბესაძის, გ. აბულაძის, გ. ჯოლიას, ე. ეთერიას, ლ. ძებისაურისა და სხვა სამეცნიერო და კვლევითი ხასიათის პუბლიკაციები.

წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომი გამოირჩევა იმით, რომ ჩვენს მიერ

- დაზუსტებულია საერთაშორისო ვაჭრობის ადგილი თანამედროვე საბაზრო სისტემაში;
- გაანალიზებულია და საერთაშორისო ვაჭრობის თაობაზე არსებული თეორიული შეხედულებები გლობალიზაციის პროცესის თანამედროვე გამოწვევების პირობებში;
- გაანალიზებული საერთაშორისო ვაჭრობის მდგომარეობის, განვითარების ტენდენციების საქართველოში;
- გაანალიზებულია საქართველოში იმპორტსა ექსპორტზე მოქმედი ფაქტორები;
- შეფასებულია საქართველოს სავაჭრო პოტენციალის ზრდის შესაძლებლობები.

სამაგისტრო ნაშრომის შესრულების პროცესში ჩვენს მიერ გამოყენებული იქნა, როგორც საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები, სტატისტიკური კრებულები და წელიწდეულები. ასევე, სხვადასხვა სამეცნიერო პუბლიკა-ციებში და სოციოლოგურ კვლევების მასალები.

ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა. სამაგისტრო ნაშრომი შედგება კომპიუტერზე ნაბეჭდი - 67 გვერდისაგან. ნაშრომი შედგება შედგება ანოტაციის, შესავლის, სამი თავის, შვიდი ქვეთავის, დასკვნისა და გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალისაგან.

თავი 1. საერთაშორისო ვაჭრობის კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები

1.1 საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ თეორიული შეხედულებების ევოლუცია

საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებს ადამიანთა შორის მრავალსა-უკუნოვანი ისტორია გააჩნია, რამაც შემდგომში საერთაშორისო ვაჭრობის სახე მიიღო. საერთაშორისო ვაჭრობა ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთობების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და უძველესი ფორმაა და ემყარება ურთიერთობების პრინციპებსა და და შრომის საერთაშორისო დანაწილებას.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში საერთაშორისო ვაჭრობას კიდევ უფრო მნიშვნელოვანს ხდის საბაზრო ეკონომიკა.

თანამედროვე ცივილიზებული სამყარო ეკონომიკური ურთიერთობის ინტესიფიკაციის ერაში ცხოვრობს. დღითიდღე ძლიერდება ქვეყნებს შორის საერთაშორისო ვაჭრობა, იქმნება ახალი ეკონომიკური გაერთიანებები, ფართოვდება საერთაშორისო ორგანიზაციების გავლენის სფეროები, იხვეწება საერთაშორისო ვაჭრობისა და ინვესტიციების ფორმები და მეთოდები და სხვა.

აღსანიშნია, რომ სულ მცირე სამი ასეული წელია, რაც მეცნიერები იკვლევენ პრობლემას, თუ რატომ ვაჭრობენ სახელმწიფოები ერთმანეთთან. მოცემულ კითვაზე პასუხი დღესაც აქტუალურია, არა მარტო საკითხის მეცნიერული შესწავლის, არამედ საერთაშორისო სავაჭრო გარიგებების პრაქტიკული რეალიზაციის, ვაჭრობის მიმართულებების, სტრუქტურის და მოცულობის განსაზღვრისთვის.

მნიშვნელოვანია ითქვას, რომ თანამედროვე მსოფლიოში საერთაშორისო ვაჭრობა წარმოადგენს ქვეყნებს შორის ეკონომიური ურთიერთობის ყველაზე ადრეულ ფორმას. საერთაშორისო ვაჭრობის სწრაფი განვითარება XVI-XVII საუკუნეში დაიწყო, დროთა განმავლობაში მან პროგრესი განიცადა და დღეისათვის უკვე საკმაოდ სახეშეცვლილია. საერთაშორისო ვაჭრობის როლსა და ადგილზე ქვეყნის ეკონომიკური განითარების საკითხში პირველად თავიანთი მოსაზრება მერკანტილისტებმა ჩამოაყალიბეს.

მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის გავლენით, ქვეყნების ეკონომიკაში მიმდინარე ცვლილებები და წარმოების სპეციალიზაციის გაღრმავება, ეროვნულ მეურნეობათა ურთიერთკავშირს აძლიერებს და საერთაშორისო ვაჭრობას აძლიერებს.

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო ვაჭრობაში დღეისათვის თითქმის მსოფლიოს ყველა ქვეყანა ჩართულია, რადგან ვერცერთი ქვეყანა ვერ შეძლებს იყოს მხოლოდ თავისი პროდუქციის წარმოებით დაკავებული და ამით უზრუნველყოს საკუთარი წარმოება და მოსახლეობაც.

ქვეყანის განვითარებისთვის ქვეყანას აუცილებლად სჭირდება სამომხმარებლო პროდუქციისა და მომსახურების იმპორტი, ასევე რესურსი, ხოლო რაც შეეხება საიმპორტო ხარჯების დაფარვას, მისი ძირითადი წყარო შეიძლება ითქვას, რომ არის ექსპორტიდან მიღებული შემოსავალი.

საერთაშორისო ვაჭრობა, რომლებიც ქვეყნებს შორის სასაქონლო ნაკადების მოძრაობით განისაზღვრება, წარმოებასთან შედარებით, უფრო მაღალი ტემპებით იზრდება. კერძოდ, მსოფლიოს წარმოების ყოველ 10%-ით ზრდაზე საერთაშორისო

ვაჭრობის 16% მოდის. ამით კი წარმოების განვითარების ხელშემწყობი პირობები იქმნება, და პირიქით, როცა ვაჭრობა ფერხდება, წარმოების განვითარებას საკმაოდ იკლებს [აბულაძე გ., საქართველოს საექსპერტო პოტენციალის ამაღლების გზები გლობალიზაციის პირობებში, თბ.2018. გვ 15].

ამრიგად კაცობრიობის განვითარების კვალდაკვალ ვითარდება საერთაშორისო ვაჭრობაც და დღეისათვის სავაჭრო საქმიანობის რამდენიმე სფერო ჩამოყა-ლიბდა.ესენია:

- საქონლით ვაჭრობა რესურსები და პროდუქტები, ნედლეული და სხვა;
- მომსახურებით საგარეო ვაჭრობა, რომელიც შეიძლება წარმოდგენილი იყოს სატრანსპორტო, სადაზღვეი, სამეცნიერო-ტექნიკური და სხვა კუთხით;
- ასევე საინტერსოა ვალუტით ვაჭრობა, რომელშიც მოიაზრება ერთი ქვეყნის ფული გაცვლა მეორე ქვეყნის ფულის გაცვლაზე.

უპირველეს ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ საერთაშორიოს ვაჭრობასთავისი თეორიული დასაბუთება აქვს და ორი პრინციპულად განსხვავებული მიდგომა არსებობს:

1. თავისუფალი, შეუზღუდავი ვაჭრობა;
2. პროტექციონალისტული პოლიტიკა, როცა სახელმწიფო, ეროვნული ინტერე სებიდან გამომდინარე, საგარეო ვაჭრობას, აქტიურად არეგულირებს.

აღსანიშნია, რომ საუკუნეთა განმავლობაში საეთაშორისო სამეურნეო კავშირები კაცობრიობის ურთიერთობის ძირითადი ფორმა იყო. ომი და ვაჭრობა უძველესი სახელმწიფოთა მთავარი საგარეო სამხედრო-პოლიტიკური ფუნქცია გახლდათ.

საერთაშორისო ვაჭრობის პირველ ეკონომიკურ თეორიად მიჩნეულია მერკანტილიზმი (იტალ. Mercante - ვაჭარი). მოცემული თეორია ინგლისში წარმოიშვა, რადგან აქ ქვეყნის სიმდიდრედ მიჩნეული იქმნა ფასეულობები, რომელიც წარმოდგენილი იყო ოქროსა და სხვა ძვირფასი ლითონების რაოდენობით. სახელმწიფოს მთავარი მიზანი იყო ოქროს მარაგის ზრდა, საგარეო ვაჭრობას კი უნდა

მოეხდინა ქვეყანაში ოქროს შემოდინება. სავაჭრო პოლიტიკა ორიენტირებული იყო ექსპორტის ყოველმხრივ წახალისებაზე და ხელშეწყობაზე.

მერკანტილისტები იყვნენ ერთ-ერთი პირველები, რომლებიც შეეცადნენ გაეცათ პასუხი კითხვაზე თუ რატომ ვაჭრობენ სხვადასხვა ქვეყნები ერთმანეთთან. ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში [ემირ ეთერია, მამუკა თორია, საერთაშორისო ეკონომიკა, ლექციების კურსი, ნაწილი 1, თბ. 2006, გვ. 21-22], აღნიშნულია, რომ მერკანტილისტების მიზანს წარმოადგენდა რაც შეიძლება მეტი ოქროსა და ვერცხლის მოზიდვა ქვეყანაში. მეკანტილისტური შეხედულებების თანახმად, გამომდინარე იქიდან, რომ მსოფლიოში არსებობდა შეზღუდული რაოდენობის სიმდიდრე (იგულისხმება ოქრო და ვერცხლი), ერთი რომელიმე ქვეყნის გამდიდრება შესაძლებელი იყო მხოლოდ სხვების ხარჯზე ანუ მხოლოდ არსებული სიმდიდრის გადანაწილებით, რომელშიც გადამწყვეტი როლი სწორედ საერთაშორისო ვაჭრობას უნდა შეესრულებინა.

უდავოა, რომ მერკანტილიზმის პრინციპები დღესაც აქტიურად გამოიყენება. მაშინ, როცა აცხადებენ, რომ ამა თუ იმ ქვეყანას უარყოფითი საგარეო-სავაჭრო ბალანსი აქვს, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქვეყნის იმპორტის მოცულობა ექსპორტის მოცულობას აღემატება. მერკანტილისტებმა გაწყვიტეს კავშირი ანტიკური ხანისა და შუა საუკუნეების ტრადიციულ ეკონომიკურ აზროვნებასთან, რომელიც, ადამიანების ფინანსურ მოგებაზე ორიენტირებულ საქმიანობას მკაცრ ეთიკურ-მორალურ და რელიგიურ არტახებში აქცევდა. მერკანტილისტები კიცხავდნენ ფულის განძად დაგროვებას, სამაგიეროდ, ქვეყნისა და ადამიანებისათვის სასარგებლოდ მიიჩნევდნენ სავახშოსაბანკო საქმიანობას და სესხებისა და სასესხო პროცენტების თავისუფალ მოძრაობას. მერკანტილისტები ვაჭრობას განიხილავდნენ როგორც ფულადი კაპიტალის დაგროვების უმთავრეს წყაროს.

თანდათან განარჩევენ ადრეულ და გვიან მერკანტილიზმს:

- ადრეული მერკანტილიზმის მიმდევრები სახელმწიფოს ურჩევდნენ მკაცრი ადმინისტრაციული მეთოდების გამოყენებას, რათა კეთილშობილი

ლითონებისათვის ქვეყნიდან გადინების საშუალება მოესპოთ. მაგალითად, უცხო ქვეყნის ვაჭრებს სასტიკი სასჯელის მუქარით ეკრძალებოდათ ოქროვერცხლის ქვეყნიდან გატანა, ხოლო ვაჭრობით ამოღებული ფული ევალებოდათ, დაეხარჯათ ქვეყნის შიგნით, ადგილობრივი ნაწარმის შეძენაზე. ბუნებრივია, ასეთი მკაცრიწესები, საგარეო ვაჭრობისათვის ვერაფერი ხელისშემწყობი იყო.;

- გვიანი მერკანტილიზმი ქვეყანაში კეთილშობილი ლითონის მომრავლების უზრუნველყოფას უკვე არა ადმინიტრაციული, არამედ ეკონომიკური საშუალებებითცდილობდა. მაგალითად, აქტიური სავაჭრო ბალანსის, ანუ იმპორტთან შედარებით ექსპორტის ზრდის უზრუნველყოფით და სხვ; [თეიმურაზ შენგელია, საერთაშორისო ბიზნესი, ლექსიების კურსი, გამომცემლობა უნივერსალი, თბ. 2011, გვ. 88-92].

აღსანიშნია ინგლისელი ვაჭარი და გვიანი მერკანტილიზმისერთ-ერთი ყველაზე ცნობილი წარმომადგენელი — თომას მანი. მან ასევე შეიმუშავა ეკონომიკური პოლიტიკა, რომელმაც მოგვიანებით პროტექციონიზმის სახელი დაიმკვიდრა და რომელიც ეროვნული ბაზრის დაცვაში მდგომარეობს.პროტექციონალიზმი იმპორტის შეზღუდვასა და ექსპორტის ხელშეწყობასგულისხმობს. ზომები რომლებსაც ამის განსახორციელებლად მიმართავენ, საუკუნეების განმავლობაში უცვლელია.

იმპორტულ საქონელზე მაღალი საბაჟო ტარიფები და ქვოტები, ხოლო ექსპორტიორთათვის საგადასახადო შეღავათები და საექსპორტო სუბსიდიები. რა თქმა უნდა, ესზომები სახელმწიფოს მხრივ აქტიური მხარდაჭერის გარეშეევერ განხორციელდება, როგორც ადრეული, ისე გვიანიმერკანტილიზმის წარმომადგენლები სახელმწიფოს მხრივეკონომიკურ პროცესებში აქტიურ ჩარევას იაზრებდნენ, როგორც თავისთავად საგულისხმოა.

აღსანიშნია, რომ XVIII ს-ის II ნახევრიდან გაბატონებულ ეკონომიკურ დოქტრინად ფიზიოკრატიზმი იქცა. მერკანტილისტებისგან განსხვავებით ფიზიოკრატები

ნაკლებ მნიშვნელოვნად მიიჩნევდნენ საერთაშორისო ვაჭრობას. მაშინ, როცა მერკანტილისტების აზრით ქვეყანაში სიმდიდრე სამამულო წარმოების საქონელის ექსპორტზე გაყიდვით იქმნებოდა და ის ოქროს ან ვერცხლის ფულში განსახიერდებოდა. ფიზიოკრატები ვერც ექსპორტში და ვერც იმპორტში მოგებას ვერ ხედავდნენ. მათი აზრით ვაჭრობა, გამონაკლისების გარდა, თანაბარი ღირებულების ერთეულების გაცვლას წარმოადგენსდა, შესაბამისად, ვაჭრობით სიმდიდრის დაგროვება შეუძლებელია. მერკანტილისტებისგან განსხვავებით ფიზიოკრატებს არა იმდენად საქონლის გაცვლა, არამედ საქონლის წარმოება აინტერესებდათ. მათი აზრით, სიმდიდრის - მატერიალური დოვლათის, დაგროვების ერთადერთი წყარო სოფლის მეურნეობა გახლდათ. როცა მიწა მოსავალს იძლევა ეს არის ის "ნამატი საქონელი", რაც მანამდე არიყო და შემდგომში გაჩნდა. საინტერესოა, რომ ფიზიოკრატებს მრეწველობა არ მიაჩნდათ მატერიალური დოვლათის დაგროვების საშუალებად. მათი აზრით მრეწველობა მხოლოდ გადამუშავებას ახდენდა იმ საქონლისა, რაც ბუნებამ მოგვცა.

უნდა ითქვას, რომ შრომის საერთაშორისო დანაწილების შედეგად ჩამოყალიბდა ეკონომიკის განსაზღვრული ტიპები: მესაქონლეობითი, სამრეწველო და მიწათმოქმე-დებითი. ამასთან აზიური ეკონომიკისთვის დამახასიათებელი იყო აგრარული ორიენტაცია ძველი ბერძნულ-რომაული ეკონიმიკა უფრო სამრეწველოსკენ იხრებოდა.

საერთაშორისო ვაჭრობის მნიშვნელობის განსაზღვრა და მისი მიზნების ფორმულირება მერკანტილისტების ეკონომიკურ სწავლებაში დასავლეთ ევროპაში ფეოდალიაზმის ხანის ბოლო და კაპიტაიზმის ჩასახვისთანავე იქნა ჩამოყალიბებული.

XVIIIს-ის მიწურულს მერკანტილისტური შეხედულებები შეცვალა ფრიტრედერულმა. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ცალკეული ერის ინტერესებში შედის ვაჭრობის ყოველგვარი თავისუფლება - უბრალოდ ხალხმა უნდა ივაწროს ისე, როგორც მათ სურს. ძირითად საკითხად განისაზღვრა იმ ფაქტორთა განსაზღვრა, რომლებიც წამყვან როლს ასრულებს სავაჭრო სტრუქტურის ფორმირებისას.

საგარეო ვაჭრობაში პროტექციონიზმის წინააღმდეგ გაილაშქრა ადამ სმითმა ნაშრომში ,,გამოკვლეულვა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ" . მან ერები ოჯახურ მეურნეობებს შეადარა და თქვა, რომ საოჯახო მეურნეობები, საკუტარი აუცილებელი საჭიროებების ნაწილს აწარმოებენ, სხვა პროდუქციას კი ნამატის გაყიდვის ხარჯზე ყიდულობენ. ა. სმითმა დასვა რაციონალური საერთაშორისო ვაჭრობის საკითხი. მან გააკრიტიკა მერკანტილიზმი და დაუშვა, რომ სახელმწიფოსთვის შესაძლებელია მომგებიანი იყოს საქონლის არა მარტო გაყიდვა საგარეო ბაზარზე, არამედ შეძენაც. ის ეცადა განესაზღვრა, რომელი საქონლის ექპორტირება და რომლის იმპორტირება არის მომგებიანი. ა. სმიტი ცდილობდა დაესაბუთებინა, რომ მსოფლიო ვაჭრობა ხელსაყრელია ყველა ქვეყნისათვის, აღნიშნავდა: ,,თუ რომელიმე სხვა ქვეყანას შეუძლია ჩვენი მომარაგება რაღაც საქონლით უფრო იაფ ფასებში, ვიდრე თავად შევძლებდით მის წარმოებას, ბევრად უმჯობესია შევისყიდოთ იგი მისგან ჩვენი საკუთარი სამრეწველო შრომის რაღაც ნაწილით, რომელიც განხორციელებულია იმ სფეროში, რომელშიც ჩვენ გარკვეულ უპირატესობას ვფლობთ." ა. სმიტი ცდილობდა დაესაბუთებინა, რომ მსოფლიო ვაჭრობა ხელსაყრელია ყველა ქვეყნისათვის, აღნიშნავდა: ,,თუ რომელიმე სხვა ქვეყანას შეუძლია ჩვენი მომარაგება რაღაც საქონლით უფრო იაფ ფასებში, ვიდრე თავად შევძლებდით მის წარმოებას, ბევრად უმჯობესია შევისყიდოთ იგი მისგან ჩვენი საკუთარი სამრეწველო შრომის რაღაც ნაწილით, რომელიც განხორციელებულია იმ სფეროში, რომელშიც ჩვენ გარკვეულ უპირატესობას ვფლობთ" [ავათნდილ ოქოცვარიძე, დალი ოქროცვარიძე, მაგდა ვადაჭკორია, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები, თბ. 2009, გვ5;], მისმა მიდგომამ ეკონომიკურ ლიტერატურაში აბსოლუტური უპირატესობის მოდელის სახელი მიიღო.

აბსოლიტური უპირატესობის თეორიაა ხსნის ერების აბსოლიტურ უპირატესობას, როდესაც მას შეუძლია საქონელი და მომსახურება აწარმოოს იმაზე ნაკლები დანახარჯებით, რასაც ხარჯავს სხვა ქვეყანა იმავე საქონლისა და მომსახურების

წარმოებაზე. [თეიმურაზ შენგელაია, საერთაშორისო ბიზნესი, ლექციების კურსი, გამომცემლობა ,,უნივერსალი“ თბ. 2011,გვ.92].

უნდა ითქვა, რომ საერთაჭორისო ვაჭრობა დიდ გავლენას ახდენს საეთაშორისო პოლიტიკაზე, ვინაიდან ის ქმნის მჭიდრო საქმიან კავშრებს ქვეყნებს შორის.ამასთან, საერთაშორისო ვაჭრობის არსის და მისი ბუნების ახსნას ცდილობს ორი ერთმანეთისაგან ძალზე განსხვავებული თეორია.

- ერთი ეფუძნება ლიბერალურ ტრადიციებს (მას დღეს ჰექსჩეროლინ-სამუელსონის თეორიას უწოდებენ, შემოკლებით - H-O).
- მეორე ეფუძნება - ნაციონალისტურს. ამ თეორიებში აბსოლუტურად განსხვავებულად არის ახსნილი საერთაშორისო ვაჭრობის მიზეზები, მიზნები და შედეგები.

საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალური თეორია ადამ სმიტისა და დევიდ რიკარდოს თეორიებიდან იღებს საფუძველს, თუმცა მისი თანამედროვე ვარიანტი გარკვეულწილად სახეცვლილია. მოცემული თეორიისგან შორს წავიდა დ. რიკარდო. მისი თეორიის არსი მდგომარეობს იმაში რომ ყველა ქვეყანა ნახავს სარგებელს საერთაშორისო ვაჭრობიდან, გამოიყენებს რა განსხვავებას წარმოების დანახარჯებში. სმიტისაგან განსხვავებით, რომელიც აქცენტს აკეთებს აბსოლუტური კატეგორიებით, რიკარდოს შემოაქვს დანახარჯებში ფარდობითი მცნების უპირატესობა. ფარდობითობის უპირატესობის კანონი განსაზღვრავს, რომ თითოეული ქვეყანა ფლობს ფარდობით უპირატესობას ამა თუ იმ საქონლის წარმოებაში და აედან იღებს მოგებას, ვაჭრობს რა ამ საქონლით და ყიდულობს სხვას. გაცვლიდან მიღებული მოგება არ არის დამოკიდებული იმაზე, თუ რა აბსოლიტურ უპირატესობას ფლობს ქვეყანა, არამედ უბრალოდ ფაქტზე: ვაჭრობის არარსებობის პირობებში ხარჯების შესაბამისობაზე (ფარდობით უპირატესობაზე). ფარდობითი დანახარჯების თეორიის მომხრეები, ეკონომიკურად ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებს, დიდი ხნის განმავლობაში ურჩევდნენ სოფლის მეურნეობაზე სპეციალიზირებას.

აღსანიშნია, რომ დასავლეთში უარი ეთქვა შრომითი ღირებულების თეორიას, რომელსაც ეყრდნობოდა რიკარდო და მხარი დაუჭირეს წარმოების ფაქტორთა თეორიას, რომელიც ჰეკშერ-ოლინის თეორიად იწოდება და გულისხმობს, რომ წარმოების პროდუქციის ღირებულება იქმნება შემოსავლებიდან წარმოების სამ ფაქტორზე - ანაზღაურება შრომისათვის, პროცენტი კაპიტალზე, სარენტო შემოსავლები მიწაზე. ესე იგი, ქვეყნებს რომლებსაც აქვს ჭარბი სამუშაო ძალა დაიწყებენ შრომატევადი საქონლების ექსპორტს, მაშინ როდესაც, ქვეყნები, განკარგავენ თავისუფალ კაპიტალს მაგრამ არ ფლობენ ჭარბ სამუშაო ძალას, მომგებიანია - დასპეციალდნენ კაპიტალტევადი საქონლის წარმოებისა და უფრო გატანაზე, და მოახდინონ შრომატევადი პროდუქციის იმპორტი.

აღსანიშნია ამერიკელი მკვლევარების ს. რობოკისა და კ. სიმონდსის ნაშრომები. მათი აზრით, ,,ვაჭრობის ტრადიციული თეორიის მიერ წარმოების ინტერნაციონალიზაციის პროცესის არსში ჩაწვდომის უუნარობა შეიძლება აისახოს საკითხის არასწორი დასმით. ვაჭრობის ტეორიამ დასვა კითხვა: რატომ ვაჭრობენ ერები? ეს არ არის კონკრეტული კითხვა. კიტხვა უნდა დაისხვას ასე: რატომ მოძრაობს საქონელი და მომსახურეობა ერებს შორის? ამ კითხვაზე პასუხის გაცემისას ნათელი ხდება, რომ ერთეული რომელიც იღებს გადაწყვეტილებას - ეს არის კომერციული დაწესებულება და არა ერი“ [Robok S.H., Simmonds K. International Business. How Big is it?”, 1973, #4 P.91].

საინტერესო ჰიპოთეზას გვთავაზობს შვედი ეკონომისტი და პოლიტიკოსი ბ. ლინდერი, რომელიც ეხება შემოსავლების ცვლილებისას საგარეო ვაჭრობისა და მოთხოვნების ცვლილებას. ეს არის მოთხოვნასთან თავსებადობის ჰიპოთეზა, რომელიც ხსნის მიზეზობრივ კავშირებს შემოსავლების - უპირატესობის (არჩევანის) -ტექნოლოგიის და საგარეო ვაჭრობის ჯაჭვში. ს. ლინდერი მოთხოვნასთან თავსებადობის თეორია ხსნის საგარეო ვაჭრობის განვითარების ტენდეციებს განვიტარებულ ქვეყნებს შორის, სადაც საქონლის საწარმოო და სამომხმარებლო მოტხოვნები ანალოგიურია.

ლიბერალებს სჯერათ ვაჭრობის ღია სისტემის, რომელზეც ვრცელდება კანონიერების პრინციპი. განმარტავენ, რომ თავისუფალი ვაჭრობა მომგებიანია მასში ჩაბმული ყველა მხარისათვის. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ყველა მხარე აუცილებლად თანაბრადაა მოგებული ამ პროცესში. თავისუფალი ვაჭრობის თეორიის მომხრეები გ. ჰაბერლერი (1935) და ჯ. ვაინერი (1955) ამბობდნენ, რომ ვაჭრობის შემაფერხებელი ქვეყნები საკუთარ თავს განვითარების დაბალი ტემპისთვის სწირავდნენ. სხვა მხრივ, ეკონომისტები რ. ნურქსი (1955), ჰ. ზინგერი (1998), რ. პრებიში (1959) და სხვები ამტკიცებდნენ, რომ განვითარებადი ქვეყნების ზრდის დაჩქარების შესაძლებლობები მათი ეკონომიკის სწორედ მანკიერი სისტემის გამო გამოუყენებელი რჩება. საგარეო ვაჭრობის შედეგად ეს ყვეყნები უფრო მეტს გასცემენ, ვიდრე იღებს. პირველ შემთხვევში საუბარი იყო განვითარებადი ქვეყნების მორგებაზე მსოფლიო ვაჭრობის მიმდინარე პროცესებთან, მეორე შემთხვევაში კი განვითარებადი ქვეყნების მიერ ვაჭრობის შედეგად მიღებული სარგებლის გამოყენებაზე. [თამარ მიქაბერიძე, საქართველოს საგარეო ვაჭრობა და მისი განვითარების პერსპექტივები WTO-ს შეთანხმების საზღვრებში, თბ. 2016, გვ. 13].

1960 წელს რაიმონ ვერნონმა ჩამოაყალიბა პროდუქტის საერთაშორისო სასიცოცხლო ციკლის ჰიპოთეზა, რომელიც ხსნის ინოვაციის როლს ვაჭრობში და პროდუქტის სასიცოცხლო ციკლს ინტერნაციონალიზაციის საფეხურიდან სტანდარტიზაციამდე.

1991 წელს ამეიკელმა ეკონომისტმა მაიკლ პორტერმა გამოაქვეყნა „ქვეყნების კონკურენტული უპირატესობა“, რომელშიც მოცემულია საერთაშორისო ვაჭრობის საკითხების კვლევის სრულიად ახალი მიდგომა: საერთაშორისო ბაზარზე ერთმანეთს კონკურენცია უწევენ ფირმები და არა ქვეყნები. აუცილებელია გავიგოთ, როგორ ქმნის და ინარჩუნებს ფირმა კონკურენტულ უპირატესობას, იმ თვალლსაზრისით, რომ ნათელი გახდეს ქვეყნის როლი ამ საკითხში.

აღსანიშნია რომ ფირმის კონკურენტულ უპირატესობათა სტრატეგიის განსაზღვარზე ორი ძირითადი ფაქტორი მოქმედებს:

- დარგის სტრუქტურა,რომელშიც მოქმედებს ფირმა;
- პოზიცია, რომელსაც ფლობს ფირმა დარგში.

მ.პორტერმა გამოაცალკევა ქვეყნისთვის ოთხი მახასიათებელი, რომლებიც აყალიბებენ გარემოს, რომელშიც ახდენენ გავლენას მათ საერთაშორისო წარმატებაზე:

1. ფაქტორული პარამეტრები;
2. შიდა მოთხოვნის პარამეტრები;
3. მონათესავე და დამხმარე დარგები;
4. სტრუქტურა და კონკურენცია.

ზემოთ მოცემული დეტერმინანტი ცალ-ცალკე და ერთობლივად აყალიბებენ გარემოს, რომელშიც მოცემული ქვეყნის ფირმები ჩამოყალიბდებიან და ფუნქციონირებენ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გილპინი კი ლიბერალების ამ მოსაზრების ახსნისას აღნიშნავს, რომ თავისუფალი ვაჭრობის დასაცავად მთავარი არგუმენტი არა მოგების თანაბარი განაწილებაა, არამედ მაქსიმალური ეფექტურობა და მსოფლიო სიმდიდრის გაზრდა. შრომის საერთაშორისო დანაწილება ზრდის ინდივიდუალურ პროდუქტიულობას, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს ეროვნული და მსოფლიო სიმდიდრის შექმნასა და დაგროვებას. შრომის საერთაშორისო დანაწილება და მისი გაღრმავება მსოფლიო ეკონომიკის აყვავების და საერთაშორისო კეთილდღეობის საწინდარია.

უახლოესი წარმოებები, რომლებიც ასახავენ სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის თანამედროვე ეტაპს, უნდა დარჩეს კონცენტრილებული სამრეწველოდ განვითარებულ ქვეყნებში, რომლებიც ფლობენ უპირატესობას კაპიტალით უზრუნველყოფის კუთხით. ეს ქვეყნები კი ინარჩუნებენ აშკარა ფარდობით უპირატესობას მეცნიერთა და ინჟინერთა კვალიფიკაციაში. ჯერ კიდევ 1949 წელს აშშ-ის პრეზიდენტმა გ. ტურმენის მიერ გამოცხადებულმა აფრიკა-აზიის და ლათინო ამერიკის ქვეყნების ,,განვითარება

დახმარების“ სტრატეგიულმა კონცეფციამ სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. ის ეყრდნობოდა ,, დიდ ბიძგის“ ცნობილ ეკონომიკურ თეორიას, რომლის ფუძემდებელი იყო პ. როზენშტეინ-როდანი (1949), რ. ნურქსის (1955), გ ზინგერი (1950), უ. როსტოუს (1956), ა. ჰირშმანი (1958) და სხვები მასში დასაბუთებული იყო მესამე სამყაროს ქვეყნებისათვის საკმაოდ დიდი ფინანსური დახმარების აუცილებლობა. ანუ ,,დიდ ბიძგს“ განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკისთვის განვითარებისა და ზრდის შესაძლებლობა უნდა შეეძინა. თეორია გულისხმობდა, რომ განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკა იმყოფება წონასწორობის ისეთ მდგომარეობაში, რომელიც ფიზიკური საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფს მოსახლეობას. დაბალი დონის შემოსავლები ართულებს სასურველი დაგროვების ნორმის მიღწევასა და შრომის მწარმოებლურობის ზრდას, შრომის დაბალი მწარმოებლურობა კი შემოსავლების დოის გადიდებას აფერხებს. ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე კი მეცნიერები ასკვნიდნე, რომ ამ ,,მანკიერი“ წრის გასარღვევად ინვესტიციების სახით გარედან ბიძგი ესაჭირობა. [Nurksc, R. (1955), Problems of Capital Formation in Underdeveloped Countries. Oxford. pp. 5.11]

უნდა წარმოჩინდეს, რომ ფარდობითობის თეორია, მისი თანამედროვე მოდიფიკაციების ჩათვლით, რომელიც დაფუძნებულია ფაქტორთა თეორიაზე, ვერ იძლევა პასუხს ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების ყველა ასპექტზე [ავთანდილ ოქოცვარიძე, დალი ოქროცვარიძე, მაგდა ვადაჭკორია, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები, თბ. 2009, გვ6;].

აღსანიშავია, რომ ეკონომისტები უკვე დიდი ხანია თვლიან, რომ ვაჭრობა აძლევს უფლებას ქვეყნებს მიაქციონ ძირითადი ყურადღება იმ საქონლის წარმოებას და იმ მომსახურებას, რომელთა მაღალი ხარისხიც შეუძლიათ უზრუნველყონ ამ ქვეყნებმა მაქსიმალური ეფექტურობით.

ზოგი მეცნიერი გამოვიდა პროდუქციის დივერსიფიკაციის კონცეფციით, რომლის თანახმადაც, რაც მაღალია პროდუქტის დივერსიფიკაციის ხარისხი დარგში, მით მაღალია შიგადარგობრივი ვაჭრობის ინტენსიურობა. სხვა მეცნიერები კი უპირატესობას

ანიჭებენ ფარდობით თეორიას. ცდილობენ მის გაღრმავებას შიდადარგობრივი ფარდობითი უპირატესობების პრობლემატიკის წინწამოწევით.

ერთ-ერთი თანამედროვე კონცეფცია, რომელიც ავსებს ფარდობითი უპირატესობის თეორიას არის კომპეტენციის თეორია, რომელშიც აქცენტია გაკეთებული კვალიფიციური შრომის, როგორც საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ფაქტორის როლი. ამერიკელი მეცნიერი მაგი, ამ თეორიის მიხედვით ამტკიცებს, რომ ქვეყნები მოახდენენ იმ პროდუქციის ექსპორტირებას, რომელიც თავის თავში მოიცავს უფრო კვალიფიციურ შრომას.

ამგვარად, ეკონომისტები ამაღლებენ მთელი მსოფლიო თანამეგობრობის საწარმოო სიმძლავრეებს. უფრო მეტიც, ვაჭრობა ხელს უწყობს ეკონომიკისა და სოციალური სტაბილურობის ზრდას, დემოკრატიის განვითარებას ცალკეულ ქვეყნებში, აგრეთვე მსოფლიოს აყვავებას, კანონიერების დამყარებას და მშვიდობის უზრუნველყოფას საერთაშორისო ურთიერთობებში.

საერთაშორისო ვაჭრობის ღია სისტემა მოითხოვს, რომ ქვეყნებმა განახორციელონ სამართლიანი და დისკრიმინაციისგან თავისუფალი შეღწევა ერთმანეთის ბაზრებზე. რადგან ქვეყნები უნდა შეეცადონ შეუქმნან სხვა ქვეყნებს ხელსაყრელი პირობები თავის ბაზრებზე შესაღწევად - შეამცირონ თავიანთი სავაჭრო ბარიერები მრავალმხრივი და ორმხრივი შეთანხმებების დადების გზით.

მიუხედავად იმისა, რომ ვაჭრობის ლიბერალიზაციისას ძირითადი ყურადღება ტრადიციულად ეთმობა ტარიფებისა და გარკვეული არასატარიფო ბარიერების შემცირებას, უკანასკნელ წლებში გაჩნდა ახალი საშუალებები ამ ლიბერალიზაციის უზრუნველსაყოფად. ყველა ქვეყნის სავაჭრო კანონმდებლობა და სავაჭრო პრაქტიკა უნდა იყოს გამჭვირვალე, ანუ, სხვაგვარად, ყველამ უნდა იცოდეს წესები და ყველას უნდა ჰქონდეს თანაბარი შანსები კონკურენციაში მონაწილეობისათვის.

საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალური თეორიის ოპონენტები თვლიან, რომ თავისუფალი ვაჭრობა მხოლოდ განვითარებული და ძლიერი ქვეყნებისთვისაა

მომგებიანი, რომელთა ეკონომიკაც არ არის დამოკიდებული ერთ რომელიმე სექტორზე და ერთ კონკრეტულ პროდუქტზე. ხოლო ეკონომიკურად შედარებით დაბალგანვითარებული სახელმწიფოებისათვის ეკონომიკური პროტექციონიზმი უფრო მომგებიანი და მიზანშეწონილია. ნაციონალისტები ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებენ საერთაშორისო ვაჭრობას და მიაჩნიათ, რომ ქვეყნის ექსპორტი უნდა აღემატებოდეს იმპორტს - ქვეყანამ უნდა გაყიდოს მეტი პროდუქცია, ვიდრე იყიდოს. თუმცა თუ ამ პოზიციას ყველა ქვეყანა გაიზიარებს, მაშინ გასაყიდი აღარაფერი იქნება და საერთაშორისო ვაჭრობაც აღარ იარსებებს. ლიბერალები მიიჩნევენ, რომ საერთაშორისო ვაჭრობა მშვიდობის გარანტიაა, და რაც მეტი ქვეყანაა ჩაბმული მასში, მით უფრო უსაფრთხო და სტაბილურია მსოფლიო, ნაციონალისტები არ ეთანხმებიან და თვლიან, რომ დღევანდელმა გლობალურმა ეკონომიკამ, რომელიც თითქმის ყველა ქვეყნის ეკონომიკას მოიცავს, მოიტანა დამოკიდებულების ახალი ფორმები და შექმნა ნიადაგი ეკონომიკური კონფლიქტებისათვის.

1.2 საერთაშორისო ვაჭრობის როლი მსოფლიო ეკონომიკაში

მსოფლიოს მრავალი ქვეყანა ცდილობს, თავი დააღწიოს სიღარიბეს და განვიტარებული ეკონომიკის ქვეყნების რიგს სეუერთდეს. სახელმწიფოებს შორის გარკვეული კონკურენციაც არსებობს, რადგან ყველას სჭირდება უცხოური ინვესტიციები. თანამედროვე მსოფლიოში ეკონომიკურად სრულიად დამოუკი-დებელი სახელმწიფო რეალურად არ არასებობს.

ზოგადად მსოფლიო მეურნეობაში საერთასორისო ეკონომიკური ურთიერ-თობის პოლიტიკას სახელმწიფოთა დამოუკიდებლობის, ურთიერთდამოკიდე-ბულებისა და დამოუკიდებლობის კონცეფცია ხსნის.

თანამედროვე სამყაროში საერთაშორისო ვაჭრობის ტენდენციებმა, რომელიც დღესდღეობით პროირიტეტულ მნიშვნელობას ატარებს მსოფლიო ასპარეზზე, საკმაოდ

დიდი დატვირთვა შეიძინა თავისი მნიშვნელობიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე. კონკურენციის მნიშვნელობა საკმაოდ დიდია, იმ პირობათა ფონზე, რომელიც მას აძლევს შესაძლებლობას მიუხედავად წინააღმდეგობრივი ვითარებისა, დაძლიოს არსებული ვითარება და მოახდინოს საკუთარი „ეკონონიკური ძალის“ წარმოჩენა. საერთაშორისო ვაჭრობა საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის ყველაზე ადრეული და შედარებით გავრცელებული ფორმა. მასზე მოდის მსოფლიო ეკონომიკური ბრუნვის 80%. საერთაშორისო ვაწრობაში იგულისხმება ქვეყნებს შორის ანაზღაურებული საქონელბრუნვის ერთობლივი მოცულობა. წარმოსაჩენია, რომ საერთაშორისო ვაჭრობის ობიექტებია:

- მატერიალური ნივთები;
- მომსახურება;
- ინტელექტუალური საკუთრება.

საერთაშორისო სავაჭრო პოლიტიკა არის სახლემწიფოს სხვა ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობებზე მიზანმიმართული ზემოქმედება. რომლის ძირითადი მიზნებია:

- მოცემული ქვეყნის შრომის საერთშორისო დანაწილებაში ჩართვის ხარისხი და გზების ცვლილება;
- ექსპორტისა და იმპორტის მოცულობის ცვლილება;
- საგარეო ვაწრობის სტრუქტურის ცვლილება;
- ქვეყნის აუცილებელი რესურსებით (ნედლეული, ენერგია და ა. შ უზრუნველყოფა.

სახელმწიფოების ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების ხარისხს აფასებენ ეკონომიკური კავშირების მოცულობის შეფარდებით ქვეყნის მთლიანი ეროვნული პროდუქტის მოცულობასთან. მაგალითად 21-ე საუკუნის ეს მაჩვენებელი აშშ-თვის 27%-ს წარმოადგენდა, ბულგარეთისთვის - 90%-ს, უნგრეთისთვის -110 %-ს, ბელგიისათვის 130%-ს და ა. შ [გურამ ჯოლია, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, თბ. 2015 წ. გვ.82].

გლობალიზაციის ეპოქაში საერთაშორისო ვაჭრობაში მნიშვნელოვანი სტრუქტურული ძვრები ხდება. რაც ეხება მისი ზრდის ტემპებს, სასაქონლო ნომენკლატურასა და საქონელნაკადების გავრცელების გეოგრაფიას.

მსოფლიო ვაჭრობის ზრდის ტემპი წინ უსწრებს მსოფლიო მშპ ზრდის ტემპს. კერძოდ, 2000-2013 წლებში მშპ მოცულობა 31,4 ტრილიონი აშშ დოლარიდან 74,3 ტრილიონ დოლარამდე, ანუ 2,37-ჯერ გაიზარდა, ხოლო საქონელბრუნვა 7,2 ტრილიონი აშშ დოლარიდან 23,4 ტრილიონ აშშ დოლარამდე, ანუ 3,25-ჯერ გადიდდა. [1 ЮНКТАД. Доклад о мировых инвестициях за 2014. С. 10.]

მსოფლიო ეკონომიკაში სწრაფად იზრდება კომერციული მომსახურეობის სფერო („უხილავი ვაჭრობა“), რომელმაც 2013 წლის მონაცემებით, მსოფლიო ექსპორტის თითქმის 20% შადგინა. ამასთან, ნედლეულთან შედარებით უფრო მაღალი ტემპებით გაიზარდა მზა სამრეწვწლო სასაქონლო ვაჭრობა.

ეკონომიკური გარიგებების გასაფორმებლად მყიდველთა და გამყიდველთა ურთიერთობის სფერო სასაქონლო ბაზრებს ქმნის, რომლების არსებობამ შრომის საერთაშორისო დანაწილება განაპირობა.

ნუგზარ თოდუა თავის ნაშრომში საერთაშორისო მარკეტინგი (თბ.2012) გვთავაზობს ბაზრის ევოლუციის თანმიმდევრობს შემდეგი სახით (იხ. ნახ.#1.)

ნახ.1. ბაზრის ფორმირების ევოლუცია



მსოფლიო ბაზარი

წყარო: Kulhavy Ernest. Internationales Marketing. 5, unverand. Aufl.,(Trauner) Linz. 1993

შიდა ბაზარი ისეთი ბაზარია, როცა წარმოებული საქონელი მის მწარმებელ ქვეყანაში იყიდება. ეროვნული კი, როცა მისი მცირე ნაწილია უცხოელ მყიდველებზე ორიენტირებული. საერთაშორისო ბაზარის შემთხვევაში ეროვნული ბაზრის ნაწილი უშუალოდ უცხოურთან არის დაკავშირებული, ხოლო მსოფლიო ბაზარი ქვეყნებს შორის სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის ესეთი სფეროა, რომელიც მთლიანად შრომის საერთაშორისო დანაწილებაზე და წარმოების ფაქტორების გადაადგილებაზეა დამოკიდებული [გურამ ჯოლია, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, თბ. 2015 წ. გვ.85].

აღსანიშნია, რომ საერთაშორისო სავაჭრო პოლიტიკის მიზანი გრძელვადიანია, ზოგი კი მოკლე ვადაში მიიღწევა. საერთაშორისო სავაჭრო პოლიტიკის ორი ძირითადი მიმართულება არსებობს:

- თავისუფალი სავაჭრო პოლიტიკა, რომელიც გულიხმობს, რომ სახელმწიფო უშუალლოდ არ ერევა საგარეო სავაჭრო პოლიტიკაში, იტოვებს რა ბაზრის მიღმა მარეგულირებლის ფუნქციას;
- საგარეო სავაჭროპროტექციონიზმი, რაც მოიცავს პოლიტიკის მიმართულებას და იცავს სამამულო წარმოებას უცხოური კონკურენციისგან. [ლელა ბახტაძე, გარდამავალი ხანის ეკონომიკა, თბ. 2006 წ.გვ 3].

საერთაშორისო ვაჭრობა ორი სასქონლო ნაკადისაგან შედგება:

1. ექსპორტისა, რომელიც გულისხმობს საქონლის გაყიდვას და გატანას საზღვარგარეთ;
2. იმპორტი, რომელი საქონლის შესყიდვას და სემოტანას მოიცავს.

ექსპორტისა და იმპორტის ღირებულებითი მოცულობების ჯამს საგარეო-სავაჭრო ბრუნვა, ხოლო მათ შორის სხვაობას, საგარეო-სავაჭრო სალდო (ნაშთი) ეწოდება. [გურამ ჯოლია, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, თბ. 2015 წ. გვ86].

საერთაშორისო ვაჭრობაში საქონლის ექსპორტ-იმპორტის განვითარება მრავალ ობიექტურ, სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ფაქტორებზეა დამოკიდებული. ეს არის იმ ობიექტურად არსებული ძალების ერთობლიობა, რომლებიც მოქმედებენ საერთაშორისო ვაჭრობის ძირითად მიმართულებებზე, ტემპებზე და პროპორციებზე. მოცემული ძალები კი შეიძლება იყოფოდეს მიკროგარემოდ და მაკროგარემოდ. მიკროგარემოში მოქმედებენ მიმწოდებლები, შუამავლები, მომხმარებლები, კონკურენტები და საკონტაქტო აუდიტორია წარმოების, მოხმარებისა და რეალიზაციის ადგილობრივ პირობებში. მაკროგარემოს ობიექტური ძალებიდან აღსანიშნია ბუნებრივ-კლიმატური ფაქტორები, ეკონომიკური გარემო ფართო გაგებით, დემოგრაფიული გარემო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გარემო [გიორგი აბულაძე, საქართველოს საექსპორტო პოტენციალის ამაღლების გზები გლობალიზაციის პირობებში].

აღნიშვნის ღირსია უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნების წილი ექსპორტში 2019 წლის იანვარ-ოქტომბერში

იხ. ნახაზი # 2

უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნების წილი ექსპორტში 2019 წლის იანვარ-ოქტომბერში.



წყარო:https://www.geostat.ge/media/29117/adgilobrivi-eqsporti-2019-%28geo%29.pdf

დღესდღეობით საერთაშორისო ვაჭრობაში მნიშვნელოვანი სტრუქტურული ძვრები ხდება. რაც ეხება მისი ზრდის ტემპებს, სასაქონლო ნომენკლაურასა და საქონელნაკადების გავრცელების გეოგრაფიას.

უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო ვაჭრობა ორი სასაქონლო ნაკადისგან შედგება: ექსპორტისა და იმპორტისაგან.

ექსპორტისა და იმპორტის ღირებულებითი მოცულობების ჯამს საგარეო-სავაჭრო ბრუნვა, ხოლო მათ შორის სხვაობას, საგარეო-სავაჭრო სალდო (ნაშთი)ეწოდება.იხ. ნახაზ.3,სადაც წარმოდგენილია ქვეყნების ჯგუფის წილი ექსპორტში და იმპორტში 2019 წლის იანვარ-ოქტომბერში.

ნახაზ.#3.

წარმოდგენილია ქვეყნების ჯგუფის წილი ექსპორტში და იმპორტში 2019 წლის იანვარ-ოქტომბერში



წყარო:https://www.geostat.ge/media/29117/adgilobrivi-eqsporti-2019-%28geo%29.pdf

საერთაშორისო ვაჭრობა კაცობრიობის განვითარების კვალდაკვალ ვითარდებოდა და თანამედროვე ეტაპზე სავაჭრო საქმიანობის შემდეგი სფეროები ჩამოყალიბდა:

- საქონლით ვაჭრობა სამომხმარებლო პროდუქტები და რესურსები, მანქანა-მოწყობილობები, ნედლეული და სხვა;
- მომსახურეობითი საგარეო ვაჭრობა (სატრანსპორტო, კომუნალური, ტურის-ტული, საფინანსო-საკრედიტო, სადაზღვევო, საინფორმაციო გამოთვლითი, სამეცნიერო-ტექნიკური და სხვ);
- ვალუტით ვაჭრობა (ერთი ქვეყნის ფულის გაცვლა მეორე ქვეყნის ფულის გაცვლაზე), ვალუტა საკრედიტო-საფინანსო საერთაშორისო ურთიერთობი მთავარი ორგანული ნაწილია და საგარეო ვაჭრობის სფეროს ერთ-ერთ ელემენტს წარმოადგენს;
- ინტელექტუალური საკუთრებით (საავტორო უფლება,საპატენტო უფლება და

ა.შ.) ვაჭრობა.

მეტად მნიშვნელოვანია ითქვას, რომ კონკურენტული ბრძოლის შედეგად ქვეყნებს შორის განვითარდა შრომის საერთაშორისო დანაწიების პროცესი. მოხდა მთელი რიგი ქვეყნების სპეციალიზაცია მათთვის ეკონომიკურად მომგებიანი და მაღალხარისხოვანი პროდუქციის (მომსახურების) წარმოებაზე, რომელიც მნიშვნელოვნად ჭარბობდა საშინაო მოთხოვნას და საერთაშორისო ბაზრებზე რეალიზაციისათვის იყო გათვლილი. ქვეყნებს შორის საქონლის (მომსახურების) მოძრაობა ეროვნულ ბაზრებს ერტიანი ბაზრების სისტემაში აკავშირებს და შედეგად, ქვეყნებს შორის ეკონომიკურ ურთიერტდამოკიდებულებას აღრმავებს. ამასთან, წარმოების ინტერნაციონალიზაცია, შრომის საერთაშორისო დანაწილება და ინტერგრაციულ პროცესთა გაღრმავება იწვევს იმ ენდეციას, რომ ამა თუ იმ ქვეყნის სავაჭრო განვითარება მხოლოდ ეროვნულ ჩარჩოებში შეუძლებელი ხდება.

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობები მსოფლიო მეურნეობის განვითარებასთან ერთად აღრმავებს და აფართოვებს თავისი არსებობის სფეროს და იძენს გლობალურ ხასიათს.

აქვე უნდა ითქვას, რომ მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში საერთაშორისო ვაჭრობის მრავალი ბარიერის გაქრობამ და ტექნოლოგიურმა განვითარებამ, ფაქტობრივად, შეცვალა მსოფლიო ეკონომიკაში არსებული ვითრება. 1950 წლიდან 2017 წლამდე მსოფლიო ექსპორტის მოცულობა გაიზარდა თითქმის 287-ჯერ [http://data.worldbank.org/indicator/BX.KLT.DINV.CD.WD/countries/1W?display=default], ხოლო პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადი 1970 წლიდან 2015 წლამდე 10 მილიარდიდან გაიზარდა 1.9 ტრილიონ დოლარამდე. [https://data.worldbank.org/indicator/BX.KLT.DINV.CD.WD].

1990-იან წლებში, საბჭოთა კავშირის დაშლასთან ერთად, კომპანიების დიდმა ნაწილმა დაიწყო ინტერნაციონალური სტრატეგიების განხორციელება. 2017 წლის მონაცემებით მსოფლიოს 100 უმსხვილესი არაფინანსური კომპანიის მთლიანი

აქტივობის 62%, გაყიდვების 64% და დასაქმებულთა რაოდენობის 67% წარმოდგენლია უცხოურ ბაზარზე. ამრიგად, საერთაშორისო ბაზრის, თითქმის უსაზღვრო, პოტენციელმა განაპირობა მისდამი მაღალი ინტერესი, რაც დასტურდება კომპანიების მიერ წარმოშობის ქვეყნებთან კავშირის ეტაპობრივად დაკარგვით და გლობალური ინტეგრაციის გაზრდილი მაჩვენებლით [თ. მიქაბერიძე საერთაშორისო წარმოების ტექნოლოგიების როლი მცირე ღია ეკონომიკისთვის, ეკონომიკა და ბიზნესი (2016) #3; ISSN 1987-5789].

აღსანიშნია, რომ ევროპის განვითარების თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (ეთგო) განვითარების ხელშემწყობი კომიტეტი კორდინაციას უწევს (სადაც 17 განვითარებული ქვეყანა შედიოდა და ევროპის ეკონომიკური თანამეგობ-რობა, ე.წ. ,,მდიდართა კლუბები“) ,,განვითარებისათვის დახმარების“ პოლიტიკის გატარებას, რომ მოხდეს განვითარებად ქვეყნებში კაპიტალის შემოდინების წახალისება, თუმცა მან კრახი განიცადა და თავისი უძლურება აჩვენა. [OECD. Development Cooperation. (1973), Review. Paris. November P. 13].

განვითარებული ქვეყნების საგარეო სავაჭრო პოლიტიკის ახალი კურსი ნათ□ად გამოვლინდა 1957 წელს გაეროს გენერალური ანსამბლეის VIII სპეციალური სესიის დროს, როდესაც გაცხადდა ახალი პოლიტიკური კურსი ,,თანასწორობის პარტნიო-რობა“ რომლი მთავარი მიზანი იყო შრომის საერთაშორისო დანაწილება. ,,ვაწარმოვოთ განვითარებად ქვეყნებში, გავყიდოთ განვიტარებულ ქვეყნებში“, რომლის მთავარი მიზანი იყო მსოფლიო მეურნეობაში ჩამორცენილი ქვეყნების ჩართვა მათი საექსპერტო სექტორის დივერსიფიცირების გზით. შრომის საერთაშორისო დანაწილების მოდერ-ნიზების ზოგადი დებულებები წარმოდგენილია განვითარების დაგეგმვის ამერიკული ცენტრის გამოკვლევაში (დ. პაუ) [Douglas, P.S. (1970) Development Strategies in Open Dualistic Economies. National Planning Association. Washington. VII. pp51], ასევე ჰოლანდიელი ეკონომისტის ი. ტიმბერგენის ნაშრომში ,,შრომის საერთაშორისო დანაწილების შესახებ“ [Tinbergen, J. (1970), On the International Division

of Labour. Stockholm], აგრეთვე ფრანგი ეკონომისტის გ. ლაშარიერის ,, შრომის საერთაშორისო დანაწილებაში“ [Lachrriere, G. (1969). La Nouvelle Division Internationale du Travail. Geneva] და ბ. ბალასას ,,ნახევრადსამრეწველო ქვეყენში ზრდის სტრატეგიაში [Balassa, B. 1(970), Growth Strategies in Semi-Industial Countries. “The Quarterly Journal of Economics”. February].

შრომის საერთაშორისო დანაწილების თეორიას მრავალი დასავლელი მეცნიერი უჭერდა მხარს: დ. პაუ (1970), ტ სციტოვსკი (1970), მ.სკოტი (1970), ბ. ბალასა (1970), ი ლიტლი (1970) ი.ბჰაგვათი, ა. შ.

შრომის საერთაშორისო დანაწილების ახალი სტრუქტურის შექმნის სქემატური მცდელობა ი. ტიმბერგენს (1970) ეკუთვნის. ის ამბობდა რომ ,,შრომის საუკეთესო საერთაშორისო დანაწილების ძიებასი განსაკუთრებული როლი საერთაშორისო კომპანიებმა უნდა ითამაშონ“ [Tinbergen J. (1970), On the International Division of Labour. Stockholm P. 7]. თუმცა, ამავე დროს, ის აღიარებდა, რომ ამ ყველაფერს შეუძლია სერიოზულად შელახოს ცალკეული ქვეყნების სუვერენიტეტი. ის ვერ ხედავს ალტერნატიულ გზებს (გარდა გაეროს მსგავსი ზეეროვნული ორგანიზაციების შექმნისა), რომლებიც მომავალში საერთაშორისო კომპანიებს კონტროლს გაუწევენ [Tinbergen J. (1970), On the International Division of Labour. Stockholm P.8].

უპირველეს ყოვლისა, ,,განვითარების ხელშეწყობამ“ ვერ შეძლო უზრუნველყო დასავლეთის მიერ დეკლარირებული ,,თვითმამოძრავებელი“ ეკონომიკური ზრდა განვითარებადი ქვეყნებისთვის. რადგან დასავლეთი არ აყენებდა ამ ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკურ პროგრესის მოთხოვნათა საკითხს.

ხაზგასმით უნდა წარმოჩინდეს, რომ დღემდე არ არსებობს შეთანხმება განვითარებადი ქვეყნების შემდგომი განვითარებისა და მათი ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი მიდგომებისა და მიმართულებების შესახებ. მოცემული საკითხი განსაკუთრებული მნიშვნელობისაა საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების თვალსაზრისითაც, რადგან სწორედ განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური

პოტენციალის ათვისება და გაფართოება დგას მსოფლიო ეკონომიკის გლობალური კრიზისიდან გამოსვლის დღის წესრიგში. მოცემული საკითხის დამუსავების მხრივ უნდა მოხდეს საერტაშორისო ვაჭრობის თეორიების განხილვა რაც შემცირებს ფინანსურ, ბუნებრივი რესურსებისა და ადამიანური ფაქტორის არაეკონომიკური გამოყენების შედეგად წარმოქმნილ დანაკარგებს.

თანამედროვე თეორიები, რომლებიც საერთაშორისო ვაჭრობის ალტერნატიულახსნას გვთავაზობენ, შესაძლებელია პირობითად ორ ჯგუფად დავყოთ (იმაზე დამოკიდებულებით, თუ როგორ არის მათში განხილული შრომის საერთაშორისო დანაწილების საზღვრებში ქვეყნის სპეციალიზაციის საკითხი):

- პირველ ჯგუფში გაერთიანებული თეორიები ძირითადად ეყრდნობა ისეთ ფაქტორებს, რომლებიც მსოფლიო ბაზარზე წარმატებითრეალიზაციას წარმოების დაბალი ხარჯების გამო უზრუნველყოფენ. მათ ეკუთვნის მასშტაბის ეფექტის თეორია, შიგადარგობრივი ვაჭრობის თეორია, საერთაშორისო ვაჭრობაში არასრულყოფილი კონკურენციის თეორია, გადამკვეთი მოთხოვნის თეორია, საერთაშორისო ვაჭრობის ახალი თეორია და ა. შ;
- რაც შეეხება მეორე ჯგუფს, მას ეკუთვნის თეორიები, რომლებიც ქვეყნის უპირატესობებს, პირველ რიგში ტექნოლოგიურ ფაქტორებს უკავშირებენ (იმის გამო, რომ ცალკეული ქვეყნები ნოვატორებად გვევლინებიან გარკვეული პროდუქტების წარმოებისას). მათ შორის უნა აღინიშნოს: მ. პოზნერის ტექნოლოგიური სახესხვაობის თეორია, რ. ვერნონის პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის თეორია, მ. პორტერის საერთაშორისო კონკურენციის თეორია და ა. შ [თამარ მიქაბერიძე, საქართველოს საგარეო ვაჭრობა და მისი განვითარების პერსპექტივები WTO-ს შეთანხმების საზღვრებში, დისერტაცია, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ 2016წ, გვ.25].

ნეოტექნოლოგიურ თეორიებს შორის მნშსვნელოვანი ადგილი უკავია პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის თეორიას . ამერიკელი მეცნიერი პ. ვერნონი ქვეყნებს შორის

დარგობრივი განსხვავებების ანალიზისას ითვალისწინებს ,,ნიოკრის“ სფეროში განხორციელებულ დანახარჯთა დონეს. ფაქტიურად, პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის თეორია ავსებს ფარდობითი დანახარჯების თეორიას, შეომოაქვს ახალი საწარმო ფაქტორი - დანახარჯები ,,ნიორკ“-ზე.

სახელმწიფოები მსოფლიოს სხვადასხვა სასაქონლო ბაზარზე განსხვავებულ პოზიციებს იკავებენ. საკუთარი ინტერესების დაცვისთვის საერთაშორისო ვაჭრობის მონაწილე მოცემულ სფეროში განსაზღვრულ პოლიტიკას ატარებს, რომელიც ქვეყნის საერთაშრისო სავაჭრო პილიტიკაში აისახება.

აღსანიშნია, რომ საგარეო სავაჭრო პოლიტიკა არის სახელმწიფოს სხვა ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობაზე მიზანმიმართული ზემოქმედება, რომლის ძირითადი მიზნებია:

- მოცემული ქვეყნის შრომის საერთაშორისო დანაწილებაში ჩართვის ხარისხის და გზების ცვლილება;
- ექსპორტისა და იმპორტის მოცულობის ცვლილება;
- საგარეო ვაჭრობის სტრუქტურის ცვლილება;
- ქვეყნის აუცილებელი რესურსებით უზრუნველყოფა[თეიმურაზ შენგელია საერთაშორისო ბიზნესი, ლექციების კურსი, გამომცემლობა თბ.2011, გვ110-111]

1.3 საერთაშორისო ვაჭრობის ეფექტიანობის ანალიზის მეთოდოლოგიური საფუძვლები

ქვეყნებს შორის ვაჭრობის განვითარებისა და მისი როლის ზრდის მიზეზთა ამხსნელმა თეორიულმა საფუძველმა ჩამოყალიბება დაიწყო თვით საერთაშორისო გაცლის დაწყების მომენტიდან ბევრად უფრო მოგვიანებით. ის განაპირობა ევროპაში ფეოდალური კარჩაკეტილობის რღვევამ და ქვეყნებს შორის საკმაოდ მჭიდრო

კავშრების დამყარებამ. თავდაპირველად საერთაშორისო ვაჭრობისადმი წარმოიშვა ორი პრინციპული მიდგომა: პირველი ემხრობოდა საერთაშორისო საქონელგაცვლაში სახელმწიფოს აქტიურ ჩარევას, ეროვნული მეურნეობის ინტერესთა დაცვის მიზნით, მეორე მიდგომა კი ემხრობა თავისუფალ ვაჭრობას ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე.

განვითარებული საბაზრო (შერეული) ეკონომიკის სახელმწიფოებში ძალიან დიდია საერთაშორისო ვაჭრობის როლი და მნიშვნელობა. დღეს ჯანსაღი საერთაშორისო ვაჭრობის განვითრების პირობებით განისაზღვრება ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების დონე. ყოველივე აღნიშნულიდან კი უნდა ითქვას, რომ მნიშვნელოვანია საერთაშორისო ვაჭრობის როლი განვთარებული ქვეყნების ეკონომიკისთვის.

ამჟამად, მსოფლიო ეკონომიკის განვითარების თანამედროევ ეტაპზე სულ უფო მეტი და მეტი ქვეყანა აფართოვებს თავისი მონაწილეობის მასშტაბებს საგარეო ვაჭრობის გზით მსოფლიო ინტეგრაციულ პროცესებში. ამ ყველაფერზე მეტყველებს სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც ახასიათებს სახელმწიფოების ექსპორტისა და იმპორტის ხედრითი წილის ცვლილებას მთლიან შიდა პროდუქტთან (მშპ) მიმართებაში. მოცემული მონაცემებით კი წარმოჩნდება ასევე თუ რამდენად ლიბერალური და ღიაა ამ სახელმწიფოების საგარეო სავაჭრო პოლიტიკა და რა როლს ასრულებს საგარეო ვაჭრობა თითოეული ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პროცესში.

უნდა ითქვას, რომ გლობალიცაციის პირობებში მსოფლიოს ეკონომიკური განვითარება ინტეგრაციული პროცესების განსაკუთრებული გააქტიურებით ხასიათდება. იმისთვის რომ ქვეყნის ეკონომიკა იყოს ძლიერი, განვითარებული სახლმწიფოები ცდილობენ ხელი შეუწყონ საერთაშორისო ვაჭრობას.

აღსანიშნია, რომ საერთაშორისო ვაჭრობის ახალი ფორმებისა და მიმართულების კვლევის სიმწვავე განსაკუთრებით აქტუალურია მცირე ღია ეკონომიკის ქვეყნებისთვის. ამიტომ მეტად მნიშვნელოვანია საერთაშორისო ვაჭრობის ახალი თეორიებისა და ტექნოლოგიებსის კვლევა და ანალიზი, თანამედროევე ეკონომიკური პროცესების ფონზე. თითოეული ქვეყნის მიერ საგარეო ვაჭრობასთან დაკავშირებით

წამოჭრილისაკითხების გადაწყვეტა ძირითადად უკავშირდება მათი განვითარების მიმართულებების არჩევანს, რომელშიც მოიაზრება ღია, ან შედარებით დახურული ეკონომიკის ერთმანეთთან შედარება.

განვითარებული ქვეყნების მიერ, ბოლო 20 წლის მანძილზე ეკონომიკური პროგრესის მიღწევა შესაძლებელი გახდა კერძო სექტორის განვითარების ხელშემწყობი ეკონომიკური და პოლიტიკური გარემოს შექმნის შედეგად.

სახლემწიფოები, რომლებიც ცდილობენ გაძლიერონ სიგა ბაზრები და ცდილობენ გახდნენ კონკურნტუნარიანნი, აუცილებლად უნდა დაიწყონ პოლიტიკური რეფორმები და ინსტიტუციონალური განვითარება.

ქვეყნის ეკონომიკაში მიმდინარე ცვლილებები და წარმოების სპეციალიზაციის გაღრმავება, ეროვნულ მეურნეობათა ურთიერთკავშირს აძლიერებს და საერთაშორისო ვაჭრობას ააქტიურებს. საერთაშორისო ვაჭრობა, რომელიც ქვეყნებს შორის სასაქონლე ნაკადების მოძრაობით განისაზღვრება, წარმოებასთან შედარებით, უფრო მაღალი ტემპებით იზრდება.

აღსანიშნია, რომ საერთაშორისო ვაჭრობას თავისი თეორიული დასაბუთება აქვს.

1. თავისუფალი შეუზღუდავი ვაჭრობა;
2. პროტექციონისტური პოლიტიკა, როცა სახლემწიფო, ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, საგარეო ვაჭრობას აქტიურად არეგულირებს.

საერთაშორისო ვაჭრობის თეორიული და პრაქტიკული საკითხებისადმი მზარდი ინტერესი, გარდა ქვეყნის ეკონომიკის მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში სწრაფი ინტეგრაციის შეუქცევადი პროცესისა, განპირობებულია ასევე, ხელისუფლების მიერ სხვადასხვა ქვეყნებთან სამთავრობო დონეზე გაფორმებული ორმხრივი შეთანხმებებით.

საერთაშორისო ვაჭრობა სპეციფიკური სფეროა, რომლის მიმდინარეობა და განვითარების პერსპექტივები დამოკიდებულია არა მხოლოდ ქვეყნის შიდა ეკონომიკურ პოლიტიკაზე, არამედ მსოფლიოს წამყვანი სავაჭრო ქვეყნების საგარეო პოლიტიკურ-ეკონომიკურ კურზე და აქედან გამომდინარე, მიღებულ გადაწყვეტილებებზე.

აღსანიშნია საგარეო ვაჭრობის თავისებურებები:

- განსხვავება მობილურობაში. ქვეყნებს შორის რესურსების გადაადგილება უფრო რთულია, ვიდრე ქვეყნის შიგნით;
- თითოეული ქვეყანა განსხვავებულ ვალუტას იყენებს და იმისათვის, რომ სხვა ქვეყნიდან იმპორტირებული საქონლისთვის ანგარიშსწორება მოახდინოს, ამ ქვეყნის ვალუტა უნდა შეიძინოს. ე.ი. თავისი ვალუტა სხვა ქვეყნის ვალუტაზე უნდა გაცვალოს;
- საერთაშორისო ვაჭრობა ისეთ პოლიტიკურ ჩარევასა და კონტროლს ექვემდებარება, რომელიც თავისი ხარისხითა და ხასიათით მნიშვნელოვნად განსხვავსება იმისგან, რასაც საშინაო ვაჭრობაში იყენებენ.

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების, კერძოდ, კი, საგარეო ვაჭრობის მეცნიერული კვლევის პროცესში მრავალი მეთოდი გამოიყენება. მათ შორის ფილოსოფიის ზოგადი ანუ დილექტიკური მეთოდი, რომელიც ეკონომიკურ მოვლენებს განიხილავს მუდმივ მოძრაობაში, ურთიერთკავშირსა და განუწყვეტელ განვითარებაში. აღნიშნულის გარდა, გამოიყენება შემდეგი მეთოდებიც: ინდუქცია და დედუქცია (ჰიპოთეზის), მეცნიერული აბსტრაქცია, ანალიზი და სინთეზი. [ლია ძებისაური, საქართველოს საგარეო-სავაჭრო ურთიერთობების სტატისტიკური შესწავლა, თბ.2012, გვ.16;]

საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები ხასიათდებიან გარკვეული მაჩვენებელთა სისტემით, რომელთა შორის გამოიყოფა როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი მახასიათებლები. მათ განეკუთვნება: ექსპორტი, იმპორტი, რეიმპორტი, რეექსპორტი, საგადასახადო ბალანსი,, საგადასახადო ბალანსის სალდო, საგარეო ვაჭრობის ერთიანი სასაქონლო ნომენკლატურა (ესნ), დემპინგი, გენერალური ვაჭრობა, საგარეო ვაჭრობის საქონელბრუნვის ეკონომიკური ეფექტიანობა, ეკონომიკის გახსნილობის რაოდენობრივი ინდიკატორები და სხვა.

არსებობს საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ხუთი ფორმა, ესენია:

1. საგარეო ვაჭრობა;
2. კაპიტალის ექსპორტი;
3. საკრედიტო და საფინანსო ურთიერთობები;
4. სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობა;
5. შრომითი რესურსების საერთაშორისო მიგრაცია [დავით ქათამაძე, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, თბ 2008, გვ21].

ასევე არსებობს საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობათა კველვის დიალექტიკური, სტატისტიკური აღრიცხვის, ინდუქციისა და დედუქციის, მეცნიერული აბსტრაქციის, ანალიზისა და სინთეზის მეთოდი, რომლებსაც ჩვენ ვეყრდნობით წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას.

აღსანიშნია, რომ მეთოდოლოგია კვლევის მეთოდთა სისტემაა, რომლითაც ეკონომიკურ მოვლენათა შესწავლა ხორციელდება. ამ მეთოდებში უპირველესი ადგილი უჭირავს დიალექტიკურ მეთოდს - ეს არის მეცნიერება ბუნების, ადამიანთა საზოგადოების, და მოაზროვნე გონების შესახებ. მოცემული მეთოდი გარდაუვალი მოთხოვნაა ეკონომიკური მოვლენები განხილული იქნეს მკაცრ მიზეზ-შედეგობრივ კავშირში. ასეთი კავშირები გულისხმობს მოძრაობას, ამიტომ ეკონომიკური მოვლენებიდა პროცესები უნდა გავაცნობიეროთ დინამიურობაში. დიალექტური მეთოდის ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნაა მოვლენათა სხვადასხვა კავშირების, მოძრაობის, ცვლილება-განვითარბის შინაგანი იმპულსის, მისი წყაროს დადგენა.

ეკონომიკურ კვლევა-ძიებაში ფართოდ გამოიყენება ასევე სტატისტიკური აღრიცხვის მეთოდი, რომელიც ისეთი მასობრივი საზოგადოებრივი მოვლენების შესწავლის საშუალებას იძლევა, როგორიცაა: მოსახლეობა, მისი დინამიკა, შემადგენლობა, საზოგადოებრივი პროდუქტის წარმოება და მოხმარება, პროდუქციის თვითღირებულება, პროდუქციის გამოშვება და მისი რეალიზაცია და ა. შ.

სტატისტიკური აღრიცხვის ძირითადი ამოცანაა საზოგადოებრივი მოვლენების, პროცესების, საგნებისა და ფაქტების შესახებ სტატისტიკური ცნობების მოპოვება

განზოგადებული დასკვნებისათვის. სტატისტიკა კი არის დამოუკიდებელი მეცნიერება, რომელიც შეისწავლის კონკრეტულ საზოგადოებრივ-ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების რაოდენობრივ მხარეს, თვისებრივ მხარესთან მჭიდრო კავშირში. სტატისტიკური აღრიცვა თავის საგნის შესასწავლად იყენებს სპეციალურ ფორმებსა და მეთოდებს. [ელენე ხარაბაძე, ბუთალტრული აღრიცხვა, თბ. 2009წ. გვ. 5].

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სფეროში თეორიული და პრაქტიკული ხასიათის გამოკვლეევების ჩასატარებლად, მსოფლიო ეკონომიკის განვი-თარების ძირითადი პროცესებისა და ტენდეციების გამოსავლენად, საერთაშორისო და რეგიონალური, ასვე, ცალკეული ქვეყნის, დარგისა და კომპანიის ეკონომიკური მდგომარეობის შესაფასებლად, რეალური დასკვნეის გამოსატანად და სათანადო პოლიტიკური-ეკონომიკური წინადადებებისა და პევენციული ღონისძიებების შესამუშავებლად, აუცილებელია შესაბამისი სტატისტიკური ინფორმაციის გამოყენება.

ზოგადად, როგორც თეორიული ისე პრაქტიკული კვლევები ცხადყოფს, რო, ყველაზე ეფექტური საშალება სასურველი შედეგის მისაღწევად არის ინდუქციური და დედუქციური მეთოდების გამოყენება. დედუქცია შემეცნების ისეთი მეთოდია, რომელიც გულისხმობს საერთო ნიშან-თვისებიდან კერძო ნიშნების გამოყოფას. ამ დროს აზროვნება ისე მიმდინარეობს, რომ ყველა კომპონენტი ლოგიკურად გამომდინარეობს წინა აზრიდან. დედუქციის მეთოდი კი საშუალებას იძლევა, გამოვიტანოთ სწორი დასკვნა, გამოვყოთ საერთო პრინციპები და კანონები, რომლებიც არ მოგვცემს შეცდომის დაშვების უფლებას. ეს მეთოდი კონკრეტული მოვლენების ფაქტობრივი სინამდვილის დადგენაში გვეხმარება. გამოდის, რომ ინდუქციური მეთოდი წარმოადგენს რაიმე დეტალიდან მთლიანის აგებას, პირველმიზეზთან მიახლოებას, პირველწაროსთან მისვლას. ხოლო, დედუქციის გზა კი წარმოადგენს პირველმიზეზიდან შედეგების ლოგიკურ გამოყვანას. ანუ ინდუქცია მეთოდი არის შწედეგიდან მიზეზის ძიება, ხოლო დედუქცია არის მიზეზიდან შედეგის გამოყვანა.

მეცნიერება - ერთერთი იდეოლოგიური ნაშენი, საზოგადოებრივი ცნობიერების განსაზღვრული ფორმა. ,, მეცნიერების მიზანია მოგვეცს, სწორის სურათი სამყაროსი (ლენინი). მეციერება ესწრაფის გამოხატოს სამყარო არა მისი ცალკეული ნაწილების მოჩვენებითს ქაოტურ სხვადასხვაობაში, არამედ იგი ცდილობს მონახოს მოვლენათა კანონები, მისი მიზანია მოვლენათა ახსნა. მისი პროგრესი მდგომერეობს იმაში, რომ იგი სულ უფრო უკეთესად და უფრო ღრმად ასახავს სინამდვილეს.[მ.როზენტალი და პ. იუდინი მოკლე ფილოსოფიური ლექსიკონი, თბ.1940, გვ 183]. მეცნიერული კვლევის მთავარი ეტაპების მახასიათებელი კატეგორიებია: პრობლემა, ფაქტი და სისტემა. მეცნიერული კვლევის შესწავლა იწყება პრობლემის დასმით. პრობლემის დასმა კი უკვე გულისხმობს მისი გადაჭრის გზების ცოდნას. პრობლემის სწორი დასმა მის ნახევრად გადაწყვეტას ნიშნავს. ეს საკმარისია ცოდნის თვალსაზრისით, მაგრამ პრობემის გადაწყვეტისატის საჭიროა ახალი ცოდნა, რომელსაც ფაქტების მნიშვნელობა აქვს. ფაქტი არის ადამიანის ცოდნის ფორმა, რომელიც არის უტყუარი. მთავარი ცნება რომელიც თან ახლავს მეციერულ კვლევას არის მეცნიერული აბსტრაქცია. აბსტრაქცია აზროვნების ფორმა, დაფუძნებული საგნის არსებითი თვისებებისა და კავსრების აზრობრივ გამოყოფასა და მათგან დამოუკიდებლად გააზრებაზე. სხვა საგანზე გადატანა, რომელიც ეწინააღმდეგება კონკრეტიზაციას.

რაც შეეხება ანალიზისა და სინთეზის მეთოდს, რომ განმარტოთ ცალცალე ანალიზის მეთოდი გულისხმობს მასალის, როგორც ერთი მთლინის, შემადგენელ ნსაწილებად დაშლაში. ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაქშუქება, ხოლო სინთეზის მეთოდი გულისხმობს ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთლიანის დანახვის უნარის განვითარებას.

მნიშვენლოვანია წარმოჩინდეს, რომ საერთაშორისო თეორიის ახალი თეორიის გარშემო არსებული ეკონომიკური ლიტერატურის ანალიზი იმაზე მეტყველებს, რომ ამ

მომენტისთვის ჯერ კიდევ არაა შექმნილი საერთაშორისო ვაჭრობაში არასრულყოფილი კონკურენციის ერთიანი თეორია.

აღნიშვნის ღირსია ლ. ფონტანიესა და მ. ფრიოდენბერგის მიერ შექმნილი ვაჭრობის მოდელი. მათი აზრით საერთაშორისო ვაჭრობის სამი მოდელი არსებობს: 1. დარგთაშორისი; 2. შიგადარგობრივი ჰორიზონტალურად დიფერენცირებული პროდუქტებით; 3. შიგადარგობრივი ვერტიკალურად დიფერენცირებული პროდუქტებით. [Fontagne L., Freudenberg M. (1997). Intra-Industry Trade: Methodological Issues Reconsidered. Working Paper No. 97-02].

საერთოდ, საერთაშორისო ვაჭრობის თეორიებზე და, კერძოდ, შიგადარგობრივი ვაჭრობის თეორიაზე რომ ვსაუბრობთ, სასურველია მოვიყვანოთ ლ. ფოტანიეს (1997) გამოტანილი ერთი დასკვნა: ,,შიგადარგობრივი ვაჭრობის თეორიების განვითარება თავისთავად არც ახალი მიდგომის სამართლიანობას ადასტურებს და არც ტრადიციულ მიდგომებს უაარყოფს“ [Fontagne L. and Freudenberg M. Intra-Industry Trade: Methodological Issues Reconsidered. CEPII Working Paper No. 97-02.-1997].

თავი 2. საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების ძირითადი ფაქტორები

2.1 გლობალიზაცია, როგორც მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ტენდეცია

21-ე საუკუენეში მსოფლიოს განვითარების დამახასიათებელ თვისებურებას წარმოადგენს სამეურნეო საქმიანობის გლობალიზაცია, რომლის შესახებადაც დისკუციები იწყება მე-20 საუკუნის 80-იანი წლებიდან, კერძოდ, 1983 წელს ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორმა თეოდორ ლევიტმა შემოტანა ცნება ,,ბაზრის გლობალიზაცია“ (Levitt, T. The Globalization of Markets. Harvard Business Review, May-June, pp.92-102). აღნიშნული ტერმინით მან სხვილი მრავალეროვნული კომპანიების მიერ წარმოებული პროდუქციის ბაზრების გაერთიანების ფენომენი წარმოადგინა. ლევიტი წერდა, რომ გლობალიზაცია ეს არის ახალი კომერციული რეალობა, რომელიც გულისხმობს სტანდარტიზებული საქონლისათვის გლობალური ბაზრების წარმოშობას. მისი აზრით, გლობალიცაზიის პროცსში ჩართული კომპანიები, წარმოების, მენეჯმენტისა და მარკეტინგის სფეროში მასშტაბის ეკონომიის გამო, უზარმაზარ უპირატესობას ღებულობენ, რითაც ისნი მსოფლიოს ბაზარზე ფასებ ამცირებენ და შესაბამისად, კონკურენტებს ამარცხებენ.

აღსანიშნია, რომ მეცნიერები ამ ტერმინის ოპტიმალურ განმარტებაზე ვერ თანხმდებიან, რადგან ყველა მკვლევარი ამ პროცეს თავისებურად აღიქვამს.

მაგალიტად, ენტონი გიდენსის მოსაზრებით ,,გლობალიზაცია შეიძლება აიხსნანს, როგორც იმ მსოფლიო მასშტაბის სოციალურ ურთიერთობათა გაძლიერება, რომლებიც დაშორებულ ადგილებს იმგვარად აკავშირებს ერთმანეთთან, რომ ადგილობრივი მნიშვნელობის პროცესები, მრავალი მილის დაშორებით მიმდიენარე მოვლენების გავლენას განიცდის და პირიქით“ [https://www.lari.ge/147-politika/425-globalizaciis-procesebi-patara-qveknebis-ganvitarebaze-negatiur-gavlenas-axdens-.html].

ტერმინი ,,გლობალიზაცია“ ინგლისური სიტყვა ,,globe” -დედამიწისგან წარმოიშვა, რომელიც მსოფლიოს, ყოვლისმომცველს ნიშნავს, გლობალიზაცია კი პროცესს. გლობალიზაციაში იგულისხმება მსოფლიოს მასშტაბით წარმოების საზოგადოება -ინტერნაციონალიზაცია. კაპიტალის, თავისუფალი ბრუნვა, საერთო ბაზრის ჩამოყალიბება, ინფორმაციის, იდეების, თანამედროვე მენეჯმენტის და მარკეტინგის გამოცდილების სწრაფი გაცვლა. 1966 წელს ჟურნალისტმა ვ.ეიმურმა ეს ტერმინი გამოიყენა სოციოლოგიის ამერიკულ ჟურნალში დაბეჭდილ სტატიაში ,,ეკონომიკური სოციოლოგია“. პირველად ტერმინი გლობალიზაცია მოხვდა 1994 წელს გამოშვებულ ოქსფორდის სოციოლოგიის ლექსიკონში: გლობალიზაციაა, თეორია, რომელიც ცდილობს შეისწავლოს გლობალურ კულტურათა სისტემის ჩამოყალიბება. [თინათინ ჩხეიძე, მამუკა ხუსკივაძე, მდგრადი ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები გლობალიზაციის პირობებში, თბ2012, გვ 3].

ამრიგად ეკონომიკურ ლექსიკონში ,,გლობალიზაცია“ განმარტებულია, როგორც ,,მსოფლიოს ყველა ქვეყნის ეკონომიკის ურთიერთდამოკიდებულების ზრდა, რომლის საფუძველს წარმოადგენს წარმოებისა და კაპიტალის ინტერნაციონალიზმის გაღრმავება. გლობალიზაციის შედეგად თანაბრდება მეურნეობის პირობები. ერთმანეთს უახლოვდება ფასები, საქონლის, მომსახურების, ფასიანი ქაღალდების რეალიზაციის, სხვადქასხვა ქქვეყნის ფინანსური და საფონდო ბაზრის საქმიანობაში იხსნება ბარიერები“ [კეინ მეინარდ ჯონ - გლობალიზაციის არსის განსაზღვრისათვის ახალი აზრი -#2 (8) 2003].

აღსანიშნია, რომ 19-ე საუკუნეში გავრცელებული იყო აზრი, რომ საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები მთავარი გარანტია თავისუფალი ბაზარი წარმოადგენდა, რომელიც გარკვეულწილად დამოუკიდბელი იყი სახელმწიფოსგან. მაგრამ ამ აზრმმა ვერ გაუძლო ორ მსოფლიო ომს და ვერც 1929წლის ეკონომიკურ კრიზისს, რომელმაც თვალსაჩინო გახადა ეკონომიკური ინტერნაციონალიზმის წარუმატებლობა და საფუძველი ჩაუყარა მსოფლიო ეკონომიკურ რეორგანიზაციას, რომლის მთავარი აქტორი და მომწესრიგებელი სახელმწიფო გახდა. 1944 წლიდან კი, სწორედ ამ ახალ პრინციპზე დაყრდნობით, საფუძველი ჩაეყარა ე.წ. ,,ბრეტონ-ვუდსის კონსენსუსს" და ხელი მოეწერა საერთაშორისო ხელშეკრულებას, რომელიც ომისშემდგომი საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების საფუძვლად იქცა [გიორგი სანიკიძე ნინო კიღურაძე, თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები, მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია, თბ2001, გვ148]. ბრეტონ-ვუდსის სისტემის ინსტიტუტები (მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი) მასში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ და მათი ძირითადი ამოცანაა 30-იანი წლების დესტაბილიზაციის მსგავსი შოკისაგან თავის დაღწევის მექანიზმების შემუშავება. ამავე დროს იქმნება საერთაშორისო შეთანხმება საბაჟო ტარიფებსა და ვაჭრობაზე, რომელმაც შემდგომში შესაბამისი პირობები შექმნა და ინსტიტუციონალური ჩარჩოთი უზრუნველყო ვაჭრობის აღმავალი ლიბერალიზაცია, სწრაფი აღმავლობა დაიწყო თავისუფალმა ვაჭრობამ.

დღეს, გლობალიზაციამ ისე მყარად , რომ იგი ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა. გლობალიზაციის პირობებში სახელმწიფოთა პოლიტიკური და ეკონომიკური საზღვრები უწინდელ მნშვნელობას კარგავს, ამიტომ ეროვნული იდენტიფიკაციის უმთავრეს ფაქტორად კულტურული არეალიღა რჩება. კულტურა რომელიც იქმნება საზოგადოებაში, განსაზღვრავს მათ ფასეულობებს, რწმენას, ქცევასა და მსოფლმხედველობას.

პირველ რიგში გლობალიზაცია თავისუფალ ბაზარს გულისმობს. ტრანსნაციო-ნალური კორპორაციების მომრავლებამ მრავალი ქვეყნის ეკონომიკა მჭიდროდ

დაუკავშირა ერთმანეთს. დემოკრატიზაციამ, პოლიტიკურმა სტაბილიზაციამ და ეკონომიკურმა ლიბერალიზაციამ მრავალი რეგიონი მიმზიდველი გახადა ინვესტო-რებისათვის. მეორე მხრივ, მოხდა ფსიქოლოგიური გარდატეხა მრავალ განვითარებად ქვეყანაში, რომლებმაც გააცნობიერეს, რომ უცხოური კაპიტალის მოზიდვა წარმოადგენს ტრამპლინს განვითარებისათვის, აიოლებს გასვლას მსოფლიო ბაზრებზე და ახალი ტექნოლოგიების მოპოვებას უწყობს ხელს. ეს, რა თქმა უნდა, ნიშნავდა, აბსოლუტური ეკონომიკური სუვერენიტეტის ნაწილობრივ დათმობას და კონკურენ-ციის გაზრდას მთელი რიგი ადგილობრივი დარგებისათვის. 90-იანი წლების შუა ხანებში უცხოური ინვესტიციების მოცულობამ გადააჭარბა 2 ტრილიონ დოლარს და კვლავაც სწრაფი ტემპით იზრდება. ნათელია, რომ ამჟამად არსებული მსოფლიო ეკონომიკების ურთიერთდამოკიდებულების პირობებში, არც ერთ სახელმწიფოს არ შეუძლია დაუპირისპიროს საკუთარი ეგოისტური ინტერესები მსოფლიო საზოგა-დოებას, ვინაიდან ამ შემთხვევაში მას ემუქრება მსოფლიო ,,გარიყულად“ გადაქცევა, გარდა ამისა, ის დაარღვევს არსებულ სისტემას, რასაც სავალალო შედეგები იქნება არა მარტო მისი კონკურენტებისთვის, არამედ საკუთრივ ამ ქვეყნის ეკონომიკისთვისაც. [გიორგი სანიკიძე, ნინო კიღურაძე, თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები, თბ.2001, გვ 151].

ზოგადად გლობალიზაციის არსი სხვადაგვარად განიხილება სხვადასხვა წყაროების ქვეყნებსა და მოსახლეობის სხვადასხვა ფენის მიერ. ეს პროცესი სხვადასხვაგვარად აღიქმება, რადგან ზოგი დადებით და ზოგი უარყოით მოვლენად მიიჩნევს მას. მაგრამ მიუხედავად აღნიშნულისა მსოფლიოს ინტეგრაციაში სულ უფო მეტი და მეტი ქვეყვანა ერთვება.ეკოომიკურ ლიტერატურაში არსებობს აზრთა სხვადახვაობა გლობალიზაციის წარმოშობის მიზეზებთან დაკავშირებით. ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ გლობალიზაცია არის ისტორიული განვითარების ობიექტური შედეგი, მეორე ნაწიილი კი თვლის, რომ ის ორგანიზებულია მსოფლიოს წამყავნი სახელმწიფოების მიერ ეროვნული რესურსების

თვიანთ სასარგებლოდ გამოყენებით, ეროვნული სახელმწიფოების გაუქმებისა და ერთიანი მსოფლიო სახელმწიფოს შექმნის აზრით.

თანამედროვე მაღალი ტექნოლოგიების გამოყენება ბიძგს აძლევს დედამიწის ერთიან გლობალურ ორგანიზმად ჩამოყალიბდეს:

- საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში დომინირებს არა საერთაშორისო ვაჭრობა, არამედ პროდუქციის წარმოებისა და და გასაღების ორგანიზება უშუალოდ საზღვარგარეთ;
- ხორციელდება მსოფლიო საფინანსო ბაზრების ფორმირება და მათი არნახული დივერსიფიკაცია;
- ძლიერდება უნიფიკაციის ტენდენცია ტექნოლოგიის, ეკოლოგიის, საბუღალტრო და სტატისტიკური აღრიცხვის, განათლების, კულტურისა და სხვა სფეროებში;
- ხორციელდება მსოფლიო საკომუნიკაციო ქსელისბ დივერსიფიკაცია;
- ყალიბდება მძლავრი საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციები, რომლებიც მსოფლიოში ნერგავენ მაკროეკონომიკური პოლიტიკის ერთიან კრიტერიუმებს და თანდათან ახდენენ გლობალიზაციის ინსტიტუციონალურ გაფორმებას;
- გლობალიზაცია შეიჭრა შიგასახელმწიფოებრივ სფეროებში და თანდათან ხდება შიგა ცხოვრების ერთერთი განმსაზღვრელი ფაქტორი, რომლის სიძლიერე ბევრად აჭარბებს ეროვნულ სახლემწიფოს შესაძლებლობებს;
- ძლიერდება საერთაშორისო კონკურენცია ისეთ სუბიექტებს შორის, რომელთაც არ აქვსთ განსაზღვრული სახელმწიფოებრივი წარმოშობა და რომლებიც კონკურენციას უწევენ ეროვნულ კომპანიებს, დევნიან რა მათ საკუთარი ბაზრებიდან,
- ყალიბდება გლობალური ცივილიზაციის შესაბამისი საერთო ჩვევები, გემოვნებები, ფასეულობები, შეხედულებები, აზროვნება და ა.შ;
- ტრანსნაციონალურიკომპანიები წარმოადგენენ მთავარ ძალას მსოფლიო ეკონომიკაში ინტერნაციონალიზაციის პროცესების დასაჩქარებლად. სწორედ

მათი საქმიანობა გარდაქმნის მსოფლიო მეურნეობას საქონლის მომსახურების, კაპიტალის, სამუშაო ძალისა და ცოდნის ერთიან ბაზრად [აბესაძე რ., გლობალიზაცია და მისი ეროვნულ ეკონომიკაზე გავლენის ზოგიერ ასპექტი. პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუსტის საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები, ტომი1, თბ. 2012 გვ.3].

იმ ფაქტს, რომ გლობალიზაციის პირობებში, როგორც საქონლის და მომსახურეობის, ასევე წარმოების ფაქტორთა გატანას ადგილი აქვს ძირითადად განვითარებული ქვეყნებიდან განვითარებად ქვეყნებში, ადასტურებს ის, რომ ტრანსნაციონალური კორპორაციების მშობელი კომპანიების უდიდესი ნაწილი სწორედ განვითარებულ ქვეყნებშია განლაგებული. ამავე დროს ტრანსნაციო-ნალური კორპორაციები უპირატესობას ანიჭებენ პირდაპირ ინვესტიციებს, ვინაიდან ისინი ღებულობენ თავისუფალ დაშვებას სხვა ქვეყნების ბუნებრივ და შრომით რესურსებზე, უერთებენ რა მათ თავიან საკუთარ რესურსებს - კაპიტალს, ცოდნას, ტექნოლოგიასა და მეწარმეობრივ უნარს [აბესაძე რ., ეკონომიკური განვითარება. თბ. ,,მერიდიანი“, 2006, გვ.60-64].

2.2 მსოფლიო ეკონომიკის განვითარების არსებული ტენდეციების გავლენა საერთაშორისო ვაჭრობაზე

თანამედროვე სამყაროში სახლემწიფოები აქტიურად მონაწილეობენ საერთაშორისო ვაჭრობის შეთანხმებებში. რითაც ისინი ისწრაფვიან ეკონომიკური კეთილდღეობის გაუმჯობესებასა და საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავებისკენ. ისინი მონაწილეობენ სხვადასხვა საერთაშორისო სავაჭრო შეთანხმე-ბებში გარკვეული სუბიექტური ხასიათის პოლიტიკური და ეკონომიკური მიზნების მისაღწევად.

აღსანიშნავია, რომ პრაქტიკულად ყველა განვითარებული ქვეყანა შედის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციაში (Organization for Economic Cooperation and Development, OECD). შვიდი ქვეყანა (დიდი ბრიტანეთი, გერმანია, იტალია, კანადა, აშშ, საფრანგეთი, იაპონია) ე.წ. ,,დიდ შვიდეულში" - გლობალური ეკონომიკური და სავალუტო პრობლემების განხილვის მიზნით. ამავე დროს, განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნების ჯგუფი აერთიანებს 130-ზე მეტ ქვეყანა. მისი მთავარი თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ ეროვნული ეკონომიკის ფორმირების პროცესი ჯერ არაა დამთავრებული, სჭარბობს სამეურნეო განვითარების ექსტენსიური ტიპი. ეს ქვეყნები, ეკონომიკური განვითარების დონით, მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან პირველ ჯგუფს [თოდუა ნუგზარი, საერთაშორისო მარკეტინგი, წიგნი 1-ლი, თბ.2012, გვ. 136].

ზოგადად საუკუნების განმავლობაში მსოფლიო ვაჭრობა იყო და რჩება ყველაზე მნიშვნელოვანი საგარეო ეკონომიკური ურთიერთქმედების ფორმა და ინარჩუნებს მთავარ ფაქტორს ეროვნული ეკონომიკების განვითარებაში, ის დაკავშირებულია გლობალიზაციის ტენდენციების განვითარებასთან და მსოფლიო ეკონომიკის პოსტ ინდუსტრიულ გარდაქმნასთან. ეს ტენდენციები ასახულია ისეთ მნიშვნელოვან ნაწილში როგორიცაა საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების ლიბერალიზაცია, როდესაც სხვადასხვა ქვეყნის რესურსები და ბაზრები უფრო ხელმისაწვდომი ხდება უცხოელი მწარმოებლებისთვის. ტრანსნაციონალური წარმოების ფორმირება კონკურენტუნარიანობის, კონცენტრაციის და წარმოების და კაპიტალის ინტერნა-ციონალიზაციის უმაღლესი დონის სტრუქტურები; გლობალურ ეკონომიკაში დომინანტური პოზიციის ამ სტრუქტურების შეძენა გლობალური ბაზრების გაჩენა, ინფორმაციის ტრანსფორმაცია, ცოდნა და ინოვაციები მათ გამოყენებასთან ერთად წარმოების მთავარ რესურსად, კონკურენციის გამარჯვების საშუალებად და მოგების გაზრდაზე. მიმდინარე ცვლილებებიკი ქმნის ახალ ეკონომიკას ეროვნული ეკონომიკისთვის.

ზოგადად ყვეყნის განვითარების თავისებურებები განაპიროებებნ მის როლს საერთაშორისო ვაჭრობაში. ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნების წილი მსოფლიოს ექსპორტში უკანასკნელი 40 წლის მანძლზე დაახლოებით 55%-ს შეადგენს. ასეთივეა ამ ქვეყნების წილი მსოფლიო იმპორტშიც. საერთაშორისო ვაჭრობის 40-45 % მოდის განვითარებად და გარდამავალ ეკონომიკის ქვეყნებზე.

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული, ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნების წილი მსოფლიო ვაჭრობაში თანდათან მცირდება, ხოლო განვითარებადი ქვეყნების წილი იზრდება. მსოფლიო ვაჭრობაში წამყვანი როლი უჭირავს ისეთ ქვეყნებს როგორიცაა: აშშ, საფრანგეთი, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, კანადა, იტალია, ნიდერლანდები, ბელგია, ლუქსემბურგი და ა.შ. ზოგადად, მსოფლიო ბაზარზე ექსპორტის მოცულობის თვალსაზრისით წარმყვანი როლი აკისრია ევროპას, რომელსაც მოსდევს აზია და ჩრდილეთ ამერიკა. რაც შეეხება ლათინურ ამერიკას, ახლო აღმოსავლეთს და აფრიკას, მათი ხვედრითი წონა მცირეა. ასევე ნაკლებად მნიშვნელოვანია ცენტრალური ევროპისა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის როლი საერთაშორისო ვაჭრობაში, რომელთა საგარეო ეკონომიკური ურთიერთიობები ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია.[თოდუა ნუგზარი, საერთაშორისო მარკეტინგი, წიგნი 1-ლი, თბ.2012, გვ. 137]

მსოფლიო ვაჭრობაში ჩამოყალიბება დაიწყო გლობალურმა ურთიერთდამოკიდებულებებმა და ამ ტენდეცნიიც უარყოფას შესაძლებელია გამოეწვია მნიშვნელოვანი ეკონომიკური დანაკარგები: შეეფერხებინა განვითარებული ქვეყნების მეურნეობების და ტრანსნაციონალური კომპანიების შემოსავლების ზრდა. განვითარებული ქვეყნები განვიტარებად სახელმწიფოებს გასაღების და მზა პროდუქციის წარმოების ახალ ბაზრებად განიხილავდნენ და დაინტერესებულნი იყვნენ ამ უკანასკნელთა საგარეო ვაჭრობის პირობებსი გაუმჯობესებით.

აღსანიშნია, რომ განვითარებადი ქვეყნების მიერ უპირატესად მზა პროდუქციისა და ნახევარფაბრიკატების განვითარებული ქვეყნების ბაზარზე ექსპორტის ხელშეწყობის

მიზნით და მათი საქონელის უფრო კონკრეტულ პროდუქტად ქცევის გამო გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონცეფციის (UNCTAD) ეგიდით შეიქმნა პრეფერენციული სავაჭრო შეთანხმებები, რომლის მიზანს წარმოადგენს განვითარებული სახელმწიფოების მიერ განვითარებადი ქვეყნებიდან შემოტანილ საქონელზე სატარიფო შეღავათები.

ამრიგად მსოფლიო გლობალიზაცის პროცესს საერთაშორისო ვაჭრობისა და მასში მონაწილე სუბიექტების ძირეული ცვლილებები და განვთარების ახალი ტენდეციების აღმოცენება მოჰყვება. ვაჭრობის თეორიის ტექნოლოგიური მიმართულება ხასიათდება, არა მარტო ახალი თეორიების შემუშავებითა და ტრანსნაციონალური კორპორაციების გამოჩენით არამედ მნიშვნელოვნად იცვლება საერთაშორისო ბაზრების სტრუქტურები, რომლებსაც რა თქმა უნდა ეკონომიკურ ურთიერთობათა ახლი ტექნიკური ინსტრუმენტები და ფორმები შეესაბამება. ეს თემა ძალიან მნიშვნელოვანია საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების თვალსაზრისით, რადგან, სწორედ განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური პოტენციალის ათვისება და გაფართოება დგას მსოფლიო ეკონომიკის გლობალური კრიზისიდან გამოსვლის დღის წესრიგში. განსაკუთრებით ახალი თეორიების, შიგადარგობრივი ვაჭრობის თეორიის განხილვა და მასთან დაკავშრებული ახალინეკონომიკური გარიგებების ფორმების სწორად მორგება თანამედროვე გამოწვევებისადმი ხელს შწუწყობს ფინანსური, ბუნებრივი რესურსებისა და ადამიანური ფაქტორის არაეკონომიკური გამოყენების მეშვეობით წარმოქმნილი დანაკარგების შემცირებას.

თანამედროვე გლობალურ ბიზნეს გარემოში ადვილად ხდება არა მხოლოს ტექნოლოგიური, არამედ ბიზნეს მოდელების გადანაცვლება. საკმარისია , რომელიმე ინდუსტრიაში მომუშავე ერთმა კომპანიამ მიაგნოს მომხმარებლის მოთხოვნების კონკურეტებთან შედარებით უკეთ დაკმაყოფილების გზებს, რომ სხვა სფეროშიც ეძებენ ამავე სესაძლებლობის რეალიზაციის ფორმებს.

ზოგადად საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები მსოფლიო მეურნეობის განვითარებასთან ერთად აფართოებს და აღრმავებს თავისი არსებობის სფეროს, ამასთან გლობალურ ხასიათს იძენს. თანნამედროვე მსოფლიო მეურნეობა გლობალური ეკონომიკური ორგანიზმია, ეროვნული ეკონომიკის ერთობლიობა, რომლებიც მჭიდრო ურთიერთკავშირსა და ურთიერთდამოკიდებულებაში იმყოფება და ექვემდებარება საბაზრო ეკონომიკის ობიექტურ კანონებს. ჯ. საკსის განმარტებით, ,,მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური წარმატება დამოკიდებულია საგარეო ვაჭრობაზე. ჯერ არცერთ ქვეყანას არ შეუქნია ჯანსაღი ეკონომიკა, მსოფლიო ეკონომიკური სისტემისაგან დამოუკიდებლად“ [ლია ძებისაური, საქართელოს საგარე-სავაჭრო ურთიერთობების სტატისტიკური შესწავლა, თბ. 2012, გვ.14]. საგარეო ვაჭრობა სფეციფიკური სფეროა, რომლის განვითარების პერსპექტივები დიდწილად არის დამოკიდებული არა მხოლოდ ქვეყნის შიდა ეკონომიკურ პოლიტიკაზე, არამედ მსოფიოს წამყვანი სავაჭრო ქვეყნების საგარეო პოლიტიკის პოლიტიკუ-ეკონომიკურ კურსზე და აქედან გამომდინარე, მიღებულ გადაწყვეტილებებზე.

თავი 3. საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების ტენდეციები საქართველოში

3.1 საქართველოს იმპორტისა და ექსპორტის დინამიკა და მასზე მოქმედი ფაქტორები

ახალი დამოუკიდებელი ქვეყნების ეკონომიკის ტრანსფორმაცია და მისი გადაყვანა თანამედროვე, დასავლურ საბაზრო ურთიერთობებზე, მეტად რთული, გრძელვადიანი და მრავალმხრივი პროცესია. ფაქტია, რომ თითოული გარდამავლი ქვეყნის, მათ შორის საქართველოს, ახალ ეკონომიკურ სისტემად გარდაქმნა ხანგრძლივ პერიოდ, დიდ მატერიალურ და ადამიანისეულ რესურსს მოითხოვს.

საქართველომ 1990-იანი წლების დასაწყისში, სახელმწიფოებრიობის აღიარების საფუძველზე, მიზნად დაისახა საბჭოური ეკონომიკური სისტემის ჩამოშლა, სახელმწიფო-მონოპოლისტური მარწუხებისგან გათავისუფლება და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა, ამით შეუერთდა მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე პროგრესულ პროცესებს, რითაც დაიწყო ახალი ეპოქა ქვეყნის განვითარებაში.

უნდა წარმოჩინდეს, რომ საბჭოთა კავშირის ქვეყნებში ბიზნესი, კლასიკური გაგებით, არ არსებობდა. არ ფუნქციონირებდა კერძო საწარმოები, მომხმარებლებს არჩევანის საშუალება თითქმის არ ქონდა, ფასებს სახელმწიფო ადგენდა, პროდუქტის მოთხოვნა - მიწოდებაზე დამოკიდებული საფასო პოლიტიკაც შესაბამისად არ არსებობდა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება თითქმის ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყნებისთვის გახდა პრიორიტეტული.

საქართველოსთვის დამოუკიდებელი, საბაზრო პრინციპებზე დაფუძნებული ეკონომიკური სისტემის პირველ წლებში განსაკუთრებით რთული აღმოჩნდა - სამოქალაქო დაპირისპირება, საომარი მოქმედებების აფხაზეთსა და ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, ენერგო და სატრანსპორტო ბლოკადა, დაძაბული კრიმინოგენული გარემო, გაწყვეტილი ეკონომიკური კავშირები, ძველი ტრადიციული ბაზრების და მომწოდებელთა დაკრგვა და მათი საპირწონე ახალი ბაზრების და მომწოდებლების არარსებობა იმ ნეგატიური მოვლენების ჩამონათვალია, რომლებსაც დამოუკიდებლობის დასაწყისში დიდი ეკონომიკური დაცემა, ჰიპერინფლაცია და უმუშევრობის კატასტროფული ზრდა მოჰყვა. ქვეყანა ეკონომიკური რეფორმების აუცილებლობის წინაშე დადგა.

აღსანიშნია, რომსაერთაშორისო ორგანიზაციების და სახელმწიფოს პოლიტიკის ფარგლებში 2000 -იანი წლებიდან დაიწყო მთელი რიგი შესაბამისი პროექტების დაფინანსება. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ქვეყანაში მძიმე სოციალურ - ეკონომიკური ფონი შეიქმნა. რეფორმები ორ ეტაპად განხორციელდა პირველად 90 – იანი წლების ბოლოს, ხოლო მეორე 2004 წელს, რომელიც გადასახადების შემცირებით გამოიხატა. ყველა ხელისუფლების პირობებში მთავარ გამოწვევად უმუშევრობა და სწრაფი ეკონომიკური ზრდა სახელდებოდა. თუმცა, საქართველოში გასული წლების ეკონომიკურმა რეფორმებმა სასურველი შედეგი არ გამოიღო, მიუხედავად იმისა, რომ გასულ წლებში რამდენჯერმე ადგილი ჰქონდა ეკონომიკური ზრდის მაღალ ტემპებს. საქართველოს სოციალურ – ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება სამი უმთავრესი პრინციპი წამროადგენს კერძოდ:

- წარმოების სექტორის განვითარება რაც თავისმხრივ უზრუნველყოფს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და სიღარიბის დაძლევას;
- მეორე ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება;
- მესამე საზოგადოების სოციალური თანასწორობის უზრუნველყოფა, რაც მოსახლეობის ღირსეული ცხოვრების უზრუნველსაყოფად არის მნიშვნელოვანი [http://progressive.ge/article.php?ID=97&lng=ge].

ზოგადად, 2003 წლის „ვარდების რევოლუციამდე“ ქვეყანაში კორუფციის მაჩვენებელი საკმაოდ მაღალ დონეზე იყო, რადგან მაღალი საგადასახადო ბარიერების ფონზე ბიზნესის ნაწილი გადასახადებზე თავის არიდებას სხვადასვა ხერხებით ცდილობდნენ.

„ვარდების რევოლუციის“ შემდგომ სურათი მეტნაკლებად შეიცვალა. ქვეყანაში ამოქმედდა ექტონური საგადასახადო მოდელი, რომელმაც ქვეყნის ეკონომიკაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა და ინვესტორებსათვის მიმზიდველ ქვეყნად აქცია საქართველო. ამჟამად ნაცვლად 36 გადასახადისა მოქმედებს 6 გადასახადი [https://forbes.ge/news/1875/estonuri-modelis-detalebi-da-misi-gavlena-ekonomikur-zrdaze]

კერძოდ, მოგების გადასახადი; დამატებითი ღირებულების გადასახადი (დღგ); საშემოსავლო გადასახადი; იმპორტის გადასახადი; აქციზი და ქონების გადასახადი, რომელიც ადგილობრივი გადასახადის სახეს განეკუთვნება.

ზოგადად საქართველო ისწრაფის გახდეს ევროპულ პასეულობებზე დაფუძნებული ქვეყანა და მოახდინოს ევროპასთან პოლიტიკური და ეკონომიკური ინტეგრაცია. ევროინტეგრაციის პროცესის შემდგომი გაღრმავების საფუძველს კი წარმოადგენს საქართველო- ევროკავშირის ასოცირების და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებებით გათვალისწინებული ღონისძიებების თანმიმდევრული და ეფექტიანი განხორციელება.

აღსანიშნია, რომ საქაღთველოს საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის მონაცემთა ფორმირება ხორციელდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტატისტიკის განყოფილების რეკომენდაციების გათვალისწინებით შემუსავებული მეთოდოლოგიის - ,,საქონლით საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკა 2010“ (გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ნიუ იორკი, აშშ, 2011წ.) და ,, საქონლით საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკა: სახელმძღვანელო შემდგენელთათვის (გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ნიუ იორკი. 2013 წ.) შესაბამისად [გოგიტა თოდრაძე, ლია ძებისაური, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საქართველოს საგარეო ვაჭრობა, თბ.2019, გვ8].

საქართველოსა და ევროკავშირს შორის 2014 წელს გაფორმებული ასოცირებული ხელშეკრულების ფარგლებში ქართველი მწარმოებლები ევროკავშირის ქვეყნებში პროდუქტის და მომსახურების ექსპორტირების დროს თავისუფლდებიან ექსპორტის გადასახადისგან. განვითარებულ ქვეყნებთან და ასევე სხვა განვითარებად ქვეყნებთან შედარებით, საქართველოს ბიზნეს-სექტორი საკმაოდ ნელი ტემპით ვითარდება. ამავე დროს, მაღალი კონკურენციის პირობებში ეკონომიკური განვითარების დონე მატულობს. საქართველო დღეს იმყოფება გარდამავალი ხანის ეკონომიკაში, საჭიროა კონკურენტული გარემოს ფორმირება, რომელიც მცირე და

საშუალო ბიზნესის განვითარებასთან ერთად ვითარდება. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტის საშუალებას იძლევა როგორებიცაა: მოსახლეობის დასაქმება, კონკურენციის ზრდა, საშუალო ფენის ფორმირება და ასევე სოციალურ ეკონომიკური პრობლემების მოგვარება. ძალიან კარგი ფაქტია, ის რომ ბოლო წლებში საქართველოდან ექსპორტირებული პროდუქციის რაოდენობა მზარდია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში. თუ განვიხილავთ მთლიანი ექსპორტისა და ევროკავშირის ქვეყნებში განხორციელებული ექსპორტის დინამიკას წლების მიხედვით, მონაცემები შემდეგნაირად გადანაწილდა (იხ. ნახზ. #4) მიუხედავად იმისა,რომ 2014 წელს 2013 წელთან შედარებით საქართველოს ექსპორეტის მაჩვენებელი შემცირდა ექსპერტი ევრიკავშირის წევრ ქვეყნებში გაიზარდა (2 908 499-დან შემცირდა 2 860 670 ათას აშშ დოლარამდე, ხოლო 607 891-დან გაიზარდა 624 085 ათას აშშ დოლარამდე).

ნახზ. #4

მთლიანი ექსპორტისა და ევროკავშირის ქვეყნებში განხორციელებული ექსპორტის დინამიკას წლების მიხედვით



წყარო; საქართველოს სტატისტიკის სამსახური, www.geostat.ge

საინტერესოა ევროკავშირის ქვეყნებში ექსპორტის დინამიკა საიდანაც ირკვევა, რომ გარკვეულ წლებში ევროკავშირის ზოგიერთ ქვეყანაში საქართველოდან არ განხორციელდა ექსპორტი, მაგალითად 2008, 2011 და 2012 წლებში მალტაში, 2008 წელს სლოვენიაში და 2007 წელს ლუქსემბურგში. სხვა მხრივ სტაბილურად მიმდინარეობდა ქართული პროდუქციის ევროკავშირის ქვეყნებში ექსპორტირება.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ აღინიშნოს იმპორტის მდგომარეობა, რომელიც 2014 წელს ყველაზე მეტი ღირებულების პროდუქცია შემოვიდა გერმანიიდან (19,7%0, რომელსაც მოსდევენ რუმინეთი (13,1 %), იტალია (9,4), ბულგარეთი (8,9), ნიდერლანდები (6,3), საფრანგეთი (5,5%), საბერძნეთი (5%0, გაერთიანებულ სამეფო (4%), პოლონეთი (4%) და ესპანეთი (3,8). (იხ.ნახ. 6)

ნახ.6

ევროკავშირიდან ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური,www.geostat.ge

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საქართველო 2020“ განსაზღვრავს ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტებს და მათი განხორციელების

გზებს 2014-2020 წლებისთვის. (მოცემული **ნახ.** #6 საქართველო 2020 წლისთვის მიზნად ისახავს მოცემულ ნახაზში არსებულ საპროგნოზო მაჩვენებლების მიღწევას).

ნახ.#7

საქართველოს 2020 წლის საპროგნოზო მიზანი

ინდიკატორი	მიმდინარე მაჩვენებელი	საპროგნოზო მაჩვენებელი
მშპ ერთ სულ მოსახლეზე	5811,7	13 000
ჯინის კოეფიციენტი	0,41	0,35
ინფლაცია (%)	-0,9	4.0
უმუშევრობა (%)	15,0	<12
გადასახადები (წილი მშპ-ში, %)	24	25
ექსპორტი (წილი მშპ-ში, %)	35	50
მიმდინარე ანგარიში (წილი მშპ-ში, %)	6.7	6
სახელმწიფო ვალის მიმართება მშპ-სთან (%)	34	<40

წყარო: საქართველოს მთავრობა, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია საქართველო 2020, გვ.3.

მნიშვნელოვანია წარმოჩინდეს, რომ საქართველოს დღეს ცდილობს საბაზრო ეკონომიკის ლიბერალურ პრინციპებზე გადასხვალას და ექსპორტ-იმპორტზე ორიენტირებული ეკონომიკის მხარდაჭერას. ამ მიმართულებით კი გადაიდგა შემდეგი ნაბიჯები:

- იქმნება ინვესტორებისთვის მიმზიდველი გარემოს;
- ეკონომიკის ლიბერალიზაცია,
- საზოგადოებრივი სერვისები უმჯობესდება;
- ადმინისტრაციული ბარიერების და საგადასახადო ტვირთის შემსუბუქება;
- დაწესდა დაბალი საიმპორტო ტარიფები, გაუქმდა საქონლის 90%-ზე მეტი;
- 16 ტარიფიდან დარჩა მხოლოდ 3;

- გაუქმდა იმპორტ-ექსპორტის კვოტები;
- გათანაბრდა დღგ ადგილობრივ და იმპორტულ საქონელზე;
- შეიზღუდა საექსპორო და საიმპორტო ლიცენზირების რაოდენობა 14-დან 8 მდე. [შენგელია თ., გლობალური ბიზნესი, თბ. ახალი საქართველო 2010 გვ. 448].

ასევე 2005 წლიდან ამოქმედდა ახალი საგადასახადო კოდექსი, რომლითაც მნიშვნელოვნად შემცირდა საგადასახადო განაკვეთები, გამარტივდა ლიცენზირებისა და ნებართვის გაცემის მოთხოვნები და ა.შ.

აღნიშნული ცვლილებების შედეგად, საქართველომ მიაღწია ეკონომიკის ზრდის შედარებით მაღალ მაჩვენებელს, საერთაშორისო რეიტინგებში პოზიციების გაუმჯობესებას და ინვესტიციების შემოდინებას. ამასთან ბიზნეს კლიმატის ზოგადი გაუმჯობესების მიუხედავად, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების თვალსაზრისით, ქვეყანაში მდგომარეობა საკმაოდ ნელი ტემპით ვითარდება.

ზოგადად საერთაშორისო ვაჭრობა გულისმობს პროდუქტისა და მომსახურეობის მზრიდან ერთი ქვეყნის ტერიტორიიდან სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე შესვლას. მოცემული პროცესის გარეგულირება წარმოებს ტვირთის დოკუმენტაციის მეშვეობით. გაფორმების ეკონომიკურ ზონაზე (გეზ)მოწმდება ტვირთის თანმხლები დოკუმენტაცია და ხდება მისი შემდგომი ასახვა საბაჟო დეკლარაციაში.

აღსანიშნია, რომ საერთაშორისო ვაჭრობა წარმოუდგენელია ორი მხარის - ექსპორტისა და იმპორტის გარეშე ამიტომ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მეწარმეთა შორის ეკონომიკური ურთიერთობების ჩასახვა და განვითარება, ისტორიული თვალსაზრისით, ექსპორტ-იმპორტის ფორმით დაიწყო. ექსპორტ-იმპორტი გულისხმობს ქვეყნებს შორის საქონლისა და მომსახურების გაცვლათა ერთობლიობას, რომელიც ძირითადად ურთიერთსარგებლიანობისა და შრომის საერთაშორისო დანაწილების პრინციპს ეფუძნება. საერთაშორისო ვაჭრობის იგივე ექსპორტ-იმპორტის გააქტიურებას იწვევს მსოფლიოში მიმდინარე მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესი და ქვეყნების ეკონომიკაში მომხდარი ცვლილებები. ექსპორტ-იმპორტი, რომელიც განისაზღვრება

ქვეყნებს შორის სასაქონლო და მომსახურების ნაკადების მოძრაობით, უფრო მაღალი ტემპით იზრდება, ვიდრე მათი წარმოება. ეს კი თავის მხრივ ხელს უწყობს წარმოების განვითარებას. [თეიმურაზ შენგელაია, საერთაშორისო ბიზნესი, თბ. 2011, გვ.14].

ნახ. #8.

საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2015-2018 წლებში.



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, თბ. 2018, გვ.10

აღსანიშნია, რომ ამჟამად საქართველო საგარეო ვაჭრობაში იყენებს აღრიცხვის ,,ზოგად მეთოდს", რომელიც გულისხმობს, რომ საქონლის ექსპორტ-იმპორტის აღრიცხვის ძირითადი კრიტერიუმია მის მიერ ქვეყნის ეკონომიკური ტერიტორიის საზღვრის გადაკვეთა. ექსპორტში იგულისხმება როგორც ეროვნული წარმოშობის პროდუქციის გატანა საზღვარგარეთ, ისე იმპორტრებული საქონლის რეექსპორტი. იმპორტში კი იგულისხმება ქვეყანაში პროდუქციის შემოტანა და ექსპორტირებული საქონლის რეიმპორტი. ექსპორტო ზოგადად აღრიცხულია FOB, ანუ ექსპორტიორი

ქვეყნის ფრანკო-საზღვრის ფასებში (მოიცავს ექსპორტიორი ქვეყნის საზღვრამდე ტვირთის ტრანსპორტირებისა და სატრანსპორტონ საშუალების ბორტზე დატვირთვის ხარჯებს), ხოლო იმპორტი CIF, ანუ იმპორტიორი ქვეყნის ფრანკო-საზღვრის ფასებში (გარდაFOB ფასისა მოიცავს საერთაშორისო ფრახტს და დაზღვევის ხარჯებს). პარტნიორი ქვეყნის დადგენის კრიტერიუმებია: იმპორტსი დროს - საქონლის გამგზავნი ქვეყანა, ექსპორტის დროს -საბოლოო დანიშნულების ქვეყანა.ვ [გოგიტა თოდრაძე, ლია ძებისაური, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საქართველოს საგარეო ვაჭრობა, თბ.2019, გვ8].

საერთაშორისო სავაჭრო ოპერაციებს საფუძვლად კონკრეტული მოტივები აქვს. ეს მოტივები განპირობებულია უცხო ბაზრების უპირატესობების გამოყენების პერსპექტივებით. საერთაშორისო სავაჭრო ოპერაციებს ყოველთვის ახლავს სააფრთხეები და საშიშროებები, რომლებზედაც საუბრისას, პირველ რიგში მხედველობაშია მისაღები უფრო მაღალი რისკი, რომელიც ახასიათებს საერთაშორისო ოპერაციებს და კონკურენცია. ნებისმიერი ურთიერთობა კი პირველ რიგში უნდა ემყარებოდეს ვაჭრობის მხარეებს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებას. სწორედ ხელშეკრულება განსაზღვრავს მხარეებს შორის ვაჭრობის სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხებს. მაგალითად: ვაჭრობის ობიექტს, მის რაოდენობას, ფასს და მახასიათებელს, ტრანსპორტირების პირობებს, საერთაშორისო ვაჭრობის პროდუქტის თანმხლებ დოკუმენტაციას და ა. შ.

დღეს საქართველოში სამი თავისუფალი ინდუსტრიული ზონა ფუნქციონირებს საკმაოდ წარმატებულად: თბილიში, ფოთსა და ქუთაისში. ქვეყანაში წარმოეული საქონელი შესაძლებელია დაიყოს ორ ჯგუფად: ექსპორტირებადი და არაექსპორტირება დი საქონლის ერთეულებად.

ექსპორტირებადია ისეთი საქონელი, რომელზედაც არის მოთხოვნა მსოფლიო ბაზარზე. არაექსპორტირებადია საქონელი, რომელიც იწარმოება ადგილობრივი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად და რომლის საზღვარგარეთ გატანა შეუძლებელია

ტრანსპორტირების მაღალი ხარჯების, კონკურენტუნარიანობის დაბალი დონისა და სხვა მიზეზების გამო.

საქართველოს საგარეო ვაჭრობაში ჩამოყალიბებული ტენდენციების სტატისტიკური გაანალიზება მნიშვნელოვანია დავიწყოთ ზოგადი მაჩვენებლით. საქართველო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს მიერ საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის წარმოება დაიწყო 1995 წლიდან. სწორედ ამ პერიოდიდან მოგვეპოვება საბჟო სამსახურების მიერ დეკლალირებული სტატისტიკური მონაცემები ექსპორტისა და იმპორტის შესახებ. ამასთან ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA) წარმოადგენს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების (AA) ნაწილს. მოცემულ შეთანხმებას ხელი მოეწერა 2014 წლის 27 ივნისს და ძალაში შევიდა 2016 წლის პირველ 28 ივლისიდან, ევროკავშრის წევრი 28 სახელმწიფოს მიერ შეთანხმების რატიფიცირების შემდეგ. DCFTA შესაძლებლობას აძლევს ქართველ მეწარმეებს გაყიდონ თავიანთი სერვისები და საქონელი ევროკავშრში, ერთ-ერთ უდიდეს გლობალურ ბაზარზე ტარიდფებისა და ბარიერების გარეშე. ევროკავშირის ყვეყნები პარტნიორი ქვეყნებიდან ახორციელებენ სხვადასხვა სახის პროდუქციის იმპორტს. მათ შორის, თევზის პროდუქტების,აზოტოვანი სასუქნების, პლასტმასისა და მინის ნაწარმის, ფეროშენადნობების, ჯართის, სპილენძის კონცენტანტის, ოქროს, ნატურალური და მინერალური წყლების და ა.შ. საქართველოში ამ პროდუქციას ძირითადად საშუალო და დიდი ზომის კომპანიები აწარმოებენ. ამასთან, ევროკავშირის ისეთი პროდუქციის იმპორტს ეწევიან, როგორიცაა: ბოსტენული, თხილი, ციტრუსი, ვაშლი, მსხალი, ქლიავი, სიმინდი, ალუბალი/ბალი, ატამი, ხურმა, კივი და სხვა ხილი, კენკრა და ჩირი, ჩაი, სუნელ-სანელებლები, უალკოჰოლო სასმელები, ღვინო და სპირტიან სასმელები, თაფლი, თევზის პროდუქტები, მწვანილი და ა.შ. რისი წარმოებაც მარტივად შეუძლიათ საქართველოში მოქმედ მცირე საწარმოებს [DCFTA-ის საკომუნიკაციო სახელმძღვანელო საქართველოსთვის,“ www.georgiadcfta.ge].

საქართველოს სავაჭრო პოლიტიკა ხასიათდება გამარტივებული საგარეო ვაჭრობის რეჟიმებით და საბაჟო პროცედურებით, დაბალი საიმპორტო ტარიფებით და მინიმალური არსატარიფო რეგულირებით, მათ შორის აღანისნია:

- დაბალი გადასახადები იმპორტზე;
- რაოდენობის შეზღუდვების არარსებობა;
- თანაბარი დაბეგვრის პრინციპი;
- იმპორტ/ექსპორტის ლიცენზიები;
- გამარტივებული სატარიფო პოლიტიკა ექსპორტზე;
- რეგულირებადი იმპორტ/ექსპორტი.

მეტი თვალსაჩინოებისთვის უნდა ითქვას, რომ 2019 წელს საქართველოდან განხორციელებული საქონლის ექსპორტის მოცულობამ (არადეკლარირებული ექსპორტის გარეშე) 3 77.5 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 12,4 % აღემატება გასული წლის შესამაბის მაჩვენებელს. ექსპორტი რეექსპორტის გარეშე (ადგილებრივი ექსპორტი) მთლიანი ექსპორტის 62.4% შეადგენს. აღნისნული მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით 5.7%-ით გაიზარდა და 2 352.3 მლნ. აშშ დოლარს გაუტოლდა.

ქვემოთ მოცემულ ნახაზ #7 ასახავს შესაბამისი მაჩვენებლის განვითარების ტენდეციას 2014-2019 წლებში.

ნახ8.#9

ექსპორტის ტენდენციები საქართველოში 2014-019 წწ (მლნ. აშშ დოლარი)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური,https://www.geostat.ge/ka

2019 წელს საქართველოს მთლიან ადგილობრივ ექსპორტში ათი უმსხვილესი ქვეყნის წლმა 76.2% შეადგინა. ამ მხრივ კი უმსხვილესი საექსპორტო პარტნიორებია: რუსეთი (432.3 მლნ აშშ დოლ. დოლარი), ბულგარეთი (281.6 მლნ. დოლარი) და ჩინეთი (207.0 მლნ აშშ დოლარი).

ნახ8#10

უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნები ადგილობრივ ექსპორტში

	2018		2019*		ცვლილება (%)
	მლნ. აშშ დოლარი	წილი (%)	მლნ. აშშ დოლარი	წილი (%)	
სულ	2 226.2	100.0	2 352.3	100.0	5.7
მათ შორის:					
რუსეთი	383.0	17.2	432.3	18.4	12.9
ბულგარეთი	257.7	11.6	281.6	12.0	9.3
ჩინეთი	182.4	8.2	207.0	8.8	13.5
თურქეთი	224.5	10.1	188.1	8.0	-16.2
რუმინეთი	57.7	2.6	177.6	7.5	207.6
უკრაინა	113.6	5.1	132.3	5.6	16.4
აშშ	159.2	7.2	128.6	5.5	-19.3
აზერბაიჯანი	117.4	5.3	88.4	3.8	-24.7
სომხეთი	78.5	3.5	85.2	3.6	8.5
შვეიცარია	67.3	3.0	71.3	3.0	5.9
დანარჩენი ქვეყნები	584.7	26.3	559.9	23.8	-4.2

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური,https://www.geostat.ge/ka

ამრიგად, საქართველო-ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმების კონტექსტით საქართველოში არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა, რაც ხელს უწყობს სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესებას, ტექნოლოგიურ პროგრესს, ახალ საგარეო ბაზრებზე გასვლას,წარმოებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას, ექსპორტის დივერსიფიკაციის მხარდაჭერას, ევროპული გამოცდილების გაზიარებას და ა.შ. ზოგადად ქართული ექსპორტიორი ფირმებისთვის საექსპორტო საქმიანობაზე ძლიერ მასტიმულირებელ ძალას წარმოადგენს გაყიდვების ზრდა, საერთაშორისო გამოცდილების შეძენა და შიდა ბაზრებზე გაყიდვების გაზრდა.

3.2 საქართველოს სავაჭრო პოტენციალის ზრდის პერსპექტივები

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციებთან აღებული ვალდებულებების შესაბამისად საქართველოში განხორციელდა რეფორმები , რომელიც მიზნად რეორგანიზაციას ისახავდა, ასევე ლიბერალიზაციას და სავაჭრო რეგულირების გამარტივებას. ინსტიტუციონალური ცვლილებების შედეგად კიდევ უფრო გაძლიერდა საქართველოს კავშირი გარე სამყაროსთან, გამარტივდა ექსპორტ-იმპორტის პროცედურები, შემცირდა

გადასახადები, სატარიფო და არასატარიფო რეგულირება, განხორციელდა სავაჭრო ურთიერთობების დივერსიფიცირება თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულებები დადებით რეგიონულ და მთავარ სავაჭრო პარტნიორებთან, გაუმჯობესთა საინვესტიციო გრემო, შემცირდა თავისუფალი კონკურენციის ბარიერები საბაჟოს, ლიცენზირებისა და ნებართვების, საკუთრების რეგისტრაციის გამარტივებით, შეიცვალა შრომის რეგულირება, გაუმჯობესდა კრედიტებზე ხელმისაწვდომობა. რეფორმები ითვალისწინებს სატარიფო და არასატარიფო ბარიერების გაუქმებას ვაჭრობაში, კონკურენტუნარიანი საბაზრო პიროებების ჩამოყალიბებას და ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებას, საერთასორისო ვაჭრობის დივერსიფიცირებას, ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობასა და განვითარებას.

დღეს საქართველოს აქვს ყველაზე დაბალი სატარიფო განაკვეთები. მისი საშუალო შეწონილი პრიორიტეტული ქვეყნის (MFN-Most Favored Nation) ტარიფი შეადგენდა 7%-ს, მათ შორის, სასოფლო-სამეურენო პროდუქციაზე - 11,5%-ს, ხოლო არასასოფლო-სამეურენო პროდუქციაზე - 0,3%-ს [Statistics database, World Trade Organization; http://www.wto.org/english/thewto_e/countries_e/georgia_e.htm].

ამ ეტაპზე საქართველოს აქვს ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური ეკონომიკური რეჟიმი, გამარტივებული სავაჭრო პროცედურები, არ არსებობს რაოდენობრივი შეზრუდვა ვაჭროვბაში და სატარიფო კვოტები. არ არსებობს არასატარიფო შეღავათები, გარდა ჯამრთელობის დაცვის, უსაფრთხოებისა და გარემოს საკითხებისა. საქონლის რაოდენობა რომელიც ექვემდეარება არასატარიფო შეზღუდვებს, მტელი ნომეკლატურის დაახლოებით 1%-ს შეადგენს[Trade Policy Review. Report By Georgia. WTO.WT/TPR/G/224,3November2009.(095397).p.10;http://www.wto.org/english/tratop_e/tpr_e/tp324_e.htm].

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, არ არსებობს სატარიფო ბაჟი ექსპორტებსა და რექსპორტებზე. ექსპორტი გათავისუფლებულია დამატებითი ღირებულების გადასახადისაგან. საქართველოში არ გამოიყენება მინიმალური

საექსპორტო ფასები დისკრიმინაციული საექსპორტო სუბსიდეიები. ახალმა საბაჯო კოდექსმა გაამარტივა საბაჟო რეგულირება მოახდინა მისი ოპტიმიზაცია, ამასთან, ნაცვლად 15 საბაჟო რეჟიმისა, მხოლოდ 7 დატოვა. საბაჟო გადასახადი საქართველოს საზღვრების გადაკვეთისას საქონლის ღირებულების 0,2%-ს შეადგენს. [როზეტა ასათიანი, საქართველოს ეკონომიკა, თბ.2012, გვ. 274].

საქართველოს 1994 წლიდან აქვს თავისუფალი სავაჭრო რეჟიმი დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებთან (დსთ). ეკონომიკური ურთიერთობები მათთან რეგულირდება მრავალმხრივი ხელშეკრულებებით. მიუხედავად იმისა რომ საქართველო 2009 წლიდან აღარ არის თანამეგობრობის წევრი ქვეყანა, არსებული ხელშეკრულება ისევ ძალაში დარჩა.

აღსანიშნია, რომ საქართველოს მთავარი მიმართულება ევროკავშირია, ამიტომ მიიღო პარტნიორობისა და კოპერაციის შესახებ შეთანხმება (PCA), ხოლო 2006 წელს სამოქმედო გეგმა ევროპასთან სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში (ENPAP), რომელიც მოიცავს ორმხრივ სავაჭრო ურთიერთობების განვითარებას[Trade Policy Review. Report By Georgia. WTO. WT/TPR/G/224, 3 November 2009. (09-5397). p.11; http://www.wto.org/english/tratop_e/tpr_e/tp324_e.htm].

გლობალიზაციის პროცესში დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, ეკონომიკური განვითარების რომელ მოდელს ან ორიენტაციას აირჩევს ქვეყანა. მოდერნიზაციის პროცესში აუცილებელია სხვა ქვეყნების გამოცდილების გამოყენება და მისი ეროვნულ პირობებთან რაციონალური შეხამება.

საქართველო მნიშვნელოვანი სატრანზიტო ქვეყანაა და თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობით წარმოადგენს ხიდს დასავლეთსა და ცენტრალური აზიის ქვეყნებს შორის. ასეთი მდებარეობა დიდ პასუხისმგებლობას ანიჭებს მას დაიკავოს საკუთარი გეოეკონომიკური სტრატეგიის ადეკვატური ადგილი მსოფლიო გლობალიზაციის პროცესში. ამ თვალსაზრისით, გადაიდგა კიდეც გარკვეული პოზიტიური ნაბიჯები, რომლებიც სამომავლოდ მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სახელმწიფოთაშორისო

ურთიერთობების გაღრმავებასა და გარე სამყაროსთან საქართველოს ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის გაღრმავებას. საქართველოს ასეთ გეოპოლიტიკურ მდებარეობას აქვს როგორც უპირატესობები, ასევე ხარვეზები. ერთი მხრივ, ის დაუცველობის განცდას აჩენს, მეორე მხრივ კი, იძლევა რეგიონულ კვანძად და სავაჭრო ცენტრად ჩამოყალიბების შესაძლებლობას.

საქართველო 1999 წლიდან არის ევროპასთან პრეფერენციული სისტემის (GSP)ბენეფიციარი, რომელმაც საფუძველი დაუდო საქართველოს საექსპორტო პროდუქციის საბაჟო გადასახადებისგან განთავისუფლებას, 2006 წლიდან კი იგი ამ სისტემის მეორე დონის - მდგრადი განვითარებისა და საუკეთეოს მართველობის სპეციალური გეგმის ბენეფიციარი გახდა. ეს სისტემა უზრუნველყოფს პრეფერენციულ ტარიფებს საქართველოდან ექსპორტირებულ პროდუქციაზე ევროკავშირის ქვეყნებში. ის მოიცავს 7200 დასახელების პროდუქტს, რომელთა ექსპორტიც ევროკავშირში გათავისუფლებულია საბაჯო გადასახადებისაგან. ვაჭრობისა და თანამშრომლობის სხვა მიმართულებებზე საქართველოს აქვს დადებული ორმხრივი ხელშეკრულებები 46 ქვეყანასთან. საქართველო შეუერთდა მრავალმრივ სავაჭრო ხელშეკრულებებს და საერთაშორისო კონვენციებს, მათ შორის: პარიზის კონვენცია სამრეწველო საკუთრების დაცვის შესახებ,მადრიდის ხელშეკრულება სავაჭრო მარკის რეგისტრაციის შესახებ, პატენტების შესახებ დაცვის ხელშეკრულება, ვენის კონვენცია გაყიდვებზე და საქონლის შესყიდვებზე კონტრაქტის შესახებ და ა.შ.

საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება აქვს დადებული გუამის GUAM (Georgia, Ukraine, Azerbaijan and Moldova) ორგანიზაციაში შემავალ ქვეყნებთან. ეს ხელშეკრუოლება უაღრესად ლიბერალურია და არ გულისხმობს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმიდან არავითარ გამონაკლისს. 2007 წლიდან საქართველო აქვს ორმხრივი სასარგებლო ურთიერთობა აშშ-თან ვაჭრობისა და ინვესტირების ჩარჩოებში დადებული ხელშეკრულების ფარგლებში (TIFA). საქართველო არის ასევე შავი ზღვის ეკონომიკური კოპერაციის (BSEC) წევრი, რომელიც მხარს უჭერს თანამშრომლობას

ვაჭრობისა და ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა სფეროში. [როზეტა ასათიანი. საქართველოს ეკონომიკა, თბ.2012, გვ.274].

საქართველოს ეკონომიკური განვითარებისთვის უმნიშვნელოვანეს მოვლენად უნდა ჩაითვალოს შრომის საერთაშორისო დანაწილებაში ქვეყნის თავისუფლებისკენ გადადგმული ნაბიჯი ვაჭრობის ლიბერალიზაციის მიმართულებით. ვაჭრობის ლიბერალიზაციის სტრატეგია წარმატებულად შეიძლება ჩაითვალოს, თუ ის უზრუნველყოფს ქვეყნის, როგორც მსოფლიო ბაზარზე საქონლისა და მომსახურების მიმწოდებლის შესაძლებლობების გაფართოებას, მისი საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ზრდასა და ბაზრებზე შეღწევის გაადვილებას.

მართალია, ბოლო წლებში საქართველომ გარკვეულ პროგრესს მიაღწია ახალი საექსპორტო ბაზრების მოძიებასა და დივერსიფიკაციაში, რაზეც საქართველოს საგარეო ვაჭრობის მიმოხილვაც მოწმობს, მაგრამ ჯერ კიდევ საჭიროა საექსპორტო პორტფელის მკვეთრი გაფართოება, რათა, როგორც მინიმუმ, გაგრძელდეს ეკონომიკური ზრდა და შემცირდეს ქვეყნის უარყოფითი სავაჭრო სალდო. ამისათვის კი აუცილებელია გავიაზროთ ის პრობლემები, რაც ქვეყნის ექსპორტის ზრდას უშლის ხელს.

დღეს საქართველოს, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტს, თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო, კვლავ ეძლევა მნიშვნელოვანი შანსი აქტიურად ჩაერთოს თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში, ჩაერთოს დღევანდელი ურთიერთობებით, მასშტაბებითა და პოტენციური შესაძლებლობებით, ეროვნული თვითმყოფადობისა და თვითდამკვიდრების მაქსიმალური შენარჩუნებით. ამით კი პირველ რიგში თუნდაც მცირე წვლილი შეიტანოს სახელმწიფოთა ეკონომიკური ურთიერთობების ამჟამად მიმდინარე რთული პროცესების განვითარებაში, მეორე მხრივ კი მიაღწიოს თავის ეკონომიკურ წინსვლას და საზოგადეოების ცხოვრების მნიშვნელოვან ამაღლებას.

დასკვნა

საერთაშორისო ვაჭრობა გლობალიზებულ მსოფლიო ეკონომიკაში უცხო ქვეყნების გამოცდილება ურთიერთობების სფეროში და ჩვენი საექსპორტო პოტენციალის შესწავლის საფუძველზე შემუშავდა შემდეგი დასკვნები და წინადადებები:

წარმოჩინდა, რომ თანამედროვე საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების ერთ-ერთი ძირითადი ტენდენციაა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ხარჯზე მაღალგანვითარებული ქვეყნების მიერ სასოფლო-სამეურენო პროდუქციის წარმოებისა და ეროვნული თვით-უზრუნველყოფის დონის ამაღლება. ზოგადად, საერთაშორისო ვაჭრობის თანამედროვე სტრუქტურის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი თვისებაა დაუბალანსებელი საქონელ-გაცვლის ზრდა.

გამოიკვეთა, რომ თანამედროვე საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნის ეროვნულ შემოსავლებსა და ეკონიმიკის ზრდაზე. პროდუქციის ექსპორტი ხელს უწყობს სამამულო წარმოების მოცულობის ზრდას და დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნას.

ნათელი გახდა, რომ ქვეყნებს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის მატერიალური საფუძველი შრომის საერთაშორისო დანაწილებაა, რომელიც ადგენს საერთო ეკონომიკური კანონების ბევრად უფრო სრულყოფილად გავითარების წინაპირობებს. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქვეყნები შრომის საერთაშორისო დანაწილებაში მონაწილეობენ ეკონომიკური სარგებლის მიღების ან გლობალური პრობლემის ერთობლივად გადაწრის გამო.

ყველასათვის ცნობილია, რომ მსოფლიო ეკონომიკა მუდმივად ვითარედება. იმის გასარკვევად, თუ როგორ იცვლება მზარდ საერთაშორისო ეკონომიკასთან ერთად საგარეო ვაჭრობის კანონზომიერება, საჭიროა საერთაშორისო ეკონომიკური თეორია შევუსაბამოთ მის პრაქტიკას. მოთხოვნა-მიწოდების მახასიათებლის ცვლილების, საგარეო ვაჭრობისა და მის მონაწიელთა ინტერესებზე ამ ცვლილებების ზეგავლენის შესახებ შემსწავლელი მაკროეკონომიკური თეორიები უნდა განიხილებოდეს დინამიკაში.

ამრიგად საერთაშორისო ვაჭრობა საშუალებას იძლევა ქვეყანაში შემოტანილი იყოს ახალი და გაუმჯობესებული საწარმოო საშუალებები. საერთაშორისო ვაჭრობის შეზღუდვისაგან გათავისუფლებას შეუძლია წაახალისოს ინოვაციური საქმიანობა. საერთაშორისო ვაჭრობა აიძულებს ქვეყნებს, საერთაშორისო კონკურენციაში გაძლიერებისათვის ეძებონ ახალი ტექნოლოგია მწარმოებლურობის ასამაღლებლად.

მიუხედავად იმ გატარებული რეფორმებისა რაც ქვეყანამ ბოლო 10 წლეულის მანძილზე შეძლო საგარეო ვაჭრობის კუთხით, მისი ლიბერალიზაციითა და გამარტივების გზით, მაინც არაა საკმარისი უპასუხოს დღევანდელი მსოფლიო გლობალიზაციის პირობებს, საჭიროა ქვეყნის უფრო მეტი ინტენსივობით ჩართვა ეკონომიკის განვითარებაში, კანონმდებლობის გამარტივება სავაჭრო პოლიტიკის მიმართ, თუმცა უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ევროკავშირთან მიღებული ‘’ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის ‘’ შესახებ კანონმა , ევროკავშირი აქცია საქართველოსთვის რიგით მეორე უმსხვილეს პარტნიორად. გასული წლების სტატისტიკას თუ გადავხედავთ ნათლად დავინახავთ, რომ ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ტვირთბრუნვა საგრძნობლად გაზრდილია, ასევე მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა ექსპორტ-იმპორტის მაჩვენებელმა, აღსანიშნავია ის ფაქტიც რომ საქართველოს ყველაზე დაბალი ტარიფი აქვს ევროკავშირის პროდუქციაზე (სასოფლო სამეურნეო 5.57% ხოლო სამრეწველოზე 0.45%) .

მიუხედავად იმ გამოწვევებისა და სირთულეებისა რასაც ქვეყანა განიცდის თავისი გარდამავალი ეკონომიკის ფონზე, მაინც თვალნათელი განვითარება ჰპოვა დამოუკიდებლობიდან დღემდე, ეკონომიკური, პოლიტიკური თუ სოციალური განვითარების კუთხით.

გამოყენებული ლიტერტურა

1. აბულაძე გ., საქართველოს საექსპერტო პოტენციალის ამაღლების გზები გლობალიზაციის პირობებში, თბ.2018. გვ 15;
2. აბესაძე რ., გლობალიზაცია და მისი ეროვნულ ეკონომიკაზე გავლენის ზოგიერ ასპექტი. პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუსტის საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები, ტომი1, თბ. 2012 გვ.3;
3. დავით ქათამაძე, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, თბ 2008, გვ21;
4. ავათნდილ ოქოცვარიძე, დალი ოქროცვარიძე, მაგდა ვადაჭკორია, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები, თბ. 2009, გვ5;
5. გიორგი სანიკიძე, ნინო კიღურაძე, თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები, მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია, თბ2001, გვ148;
6. გურამ ჯოლია, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, თბ. 2015 წ. გვ.82;
7. გოგიტა თოდრაძე, ლია ძებისაური, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საქართველოს საგარეო ვაჭრობა, თბ.2019, გვ8;
8. ელენე ხარაბაძე, ბუღალტრული აღრიცხვა, თბ. 2009წ. გვ. 5;
9. ემირ ეთერია, მამუკა თორია, საერთაშორისო ეკონომიკა, ლექციების კურსი, ნაწილი 1, თბ. 2006, გვ. 21-22;
10. ემირ ეთერია, გლობალიზაცია და ეროვნული ეკონომიკა: თეორია და პოლიტიკა (მონოგრაფია), უნივერსალი, 2009
11. თეიმურაზ შენგელაია, საერთაშორისო ბიზნესი, ლექციების კურსი, გამომცემლობა ,,უნივერსალი“ თბ. 2011,გვ.92;

12. თამარ მიქაბერიძე, საქართველოს საგარეო ვაჭრობა და მისი განვითარების პერსპექტივები WTO-ს შეთანხმების საზღვრებში, თბ. 2016, გვ. 13;
13. თამარ მიქაბერიძე საერთაშორისო წარმოების ტექნოლოგიების როლი მცირე ღია ეკონომიკისთვის, ეკონომიკა და ბიზნესი (2016) #3; ISSN 1987-5789;
14. თინათინ ჩხეიძე, მამუკა ხუსკივაძე, მდგრადი ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები გლობალიზაციის პირობებში, თბ2012, გვ 3
15. თეიმურაზ შენგელია საერთაშორისო ბიზნესი, ლექციების კურსი, გამომცემლობა თბ.2011, გვ110-111;
16. თოდუა ნუგზარი, საერთაშორისო მარკეტინგი, წიგნი 1-ლი, თბ.2012, გვ. 136;
17. ლია ძებისაური, საქართველოს საგარეო-სავაჭრო ურთიერთობების სტატისტიკური შესწავლა, თბ.2012, გვ.16;
18. ლელა ბახტაძე, გარდამავალი ხანის ეკონომიკა, თბ. 2006 წ.გვ 3;
19. როზეტა ასათიანი, საქართველოს ეკონომიკა, თბ.2012, გვ. 274;
20. მ.როზენტალი და პ. იუდინი მოკლე ფილოსოფიური ლექსიკონი, თბ.1940, გვ 183;

უცხოური ლიტერატურა:

21. კეინ მეინარდ ჯონ - გლობალიზაციის არსის განსაზღვრისათვის ახალი აზრი -#2 (8) 2003;
22. Douglas, P.S. (1970) Development Strategies in Open Dualistic Economies. National Planning Association. Washington. VII. pp51;
23. Fontagne L., Freudenberg M. (1997). Intra-Industry Trade: Methodological Issues Reconsidered. Working Paper No. 97-02;
24. Levitt, T. The Globalization of Markets. Harvard Business Review, May-June, pp.92-102;
25. Tinbergen, J. (1970), On the International Division of Labour. Stockholm;
26. Lachrriere, G. (1969). La Nouvelle Division Internationale du Travail. Geneva;
27. Balassa, B. 1(970), Growth Strategies in Semi-Industial Countries. “The Quarterly Journal of Economics”. February;
28. Tinbergen J. (1970), On the International Division of Labour. Stockholm P. 7
29. Robok S.H., Simmonds K. International Business. How Big is it?”, 1973, #4 P.91;
30. Nurksc, R. (1955), Problems of Capital Formation in Underdeveloped Countries. Oxford. pp. 5.11;
31. ЮНКТАД. Доклад о мировых инвестициях за 2014. С. 10;
32. OECD. Development Cooperation. (1973), Review. Paris. November P. 13;

33. Trade Policy Review. Report By Georgia. WTO. WT/TPR/G/224, 3 November 2009. (09-5397). p.11; http://www.wto.org/english/tratop_e/tpr_e/tp324_e.htm;
34. Trade Policy Review. Report By Georgia. WTO.WT/TPR/G/224,3November2009.(095397).p.10;http://www.wto.org/english/tratop_e/tpr_e/tp324_e.htm;
35. http://data.worldbank.org/indicator/BX.KLT.DINV.CD.WD/countries/1W?display=default;
36. https://data.worldbank.org/indicator/BX.KLT.DINV.CD.WD;
37. https://forbes.ge/news/1875/estonuri-modelis-detalebi-da-misi-gavlena-ekonomikur-zrdaze;
38. http://progressive.ge/article.php?ID=97&lng=ge;
39. https://www.lari.ge/147-politika/425-globalizaciis-procesebi-patara-qveknebis-ganvitarebaze-negatiur-gavlenas-axdens-.html];
40. www.geostat.ge;
41. Statistics database, World Trade Organization; http://www.wto.org/english/thewto_e/countries_e/georgia_e.htm

დანართები

დანართი #1

ბაზრის ფორმირების ევოლუცია

დანართი #2

უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნების წილი ექსპორტში 2019 წლის იანვარ-ოქტომბერში



დანართი #3

წარმოდგენილია ქვეყნების ჯგუფის წილი ექსპორტში და იმპორტში 2019 წლის იანვარ-ოქტომბერში



დანართი #4

მთლიანი ექსპორტისა და ევროკავშირის ქვეყნებში განხორციელებული ექსპორტის დინამიკას წლების მიხედვით



დანართი #5

საქართველოს ექსპორტის დინამიკა ევროკავშირის ქვეყნებში

	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013
ავსტრია	4 919,2	3 001,6	1 096,0	1 028,1	1 433,7	734,4	579,4
ბელგია	17 737,7	7 190,8	13 519,5	22 074,6	33 647,9	60 446,5	61 479,8
ბულგარეთი	59 357,3	108 216,7	82 290,6	66 757,2	93 689,0	69 654,7	150 753
გაერთიანებული სამეფო	23 172,5	43 576,6	8 186,2	18 199,2	13 842,6	20 850,8	30 067,5
გერმანია	56 155,9	33 062,6	23 025,4	34 987,7	49 056,5	38 571,8	72 996,2
დანია	808,6	1 046,7	624,5	3 612,1	2 327,4	1 200,2	1 433,8
ესპანეთი	14 414,9	19 667,7	15 313,9	32 709,2	23 693,0	15 852,5	66 865,8
ესტონეთი	1 442,7	970,0	1 234,2	878,7	2 774,9	3 685,7	1 938,8
ირლანდია	356,8	178,0	274,6	313,7	218,9	91,4	334,0
იტალია	17 792,6	17 144,9	23 282,1	26 048,4	75 501,4	53 330,1	81 489,0
კვიპროსი	234,4	3 197,3	144,8	139,3	190,8	372,0	920,0
ლატვია	4 502,0	5 407,6	3 431,9	6 506,2	7 666,0	6 145,1	6 618,2
ლიტვა	6 040,2	8 763,2	9 884,8	11 256,1	18 525,5	19 030,7	21 772,3
ლუქსემბურგი	-	52,2	77,9	33,1	25,5	3,9	16,2
მალტა	0,8	-	16,5	17,5	-	-	798,7
ნიდერლანდები	12 111,4	12 652,5	9 019,6	17 833,1	17 667,0	11 746,6	22 543,9
პოლონეთი	6 275,4	4 886,4	4 985,0	5 288,9	9 531,2	5 310,1	7 372,2
პორტუგალია	2 311,5	128,3	1 053,0	1 914,0	2 812,7	5 152,5	2 295,5
რუმინეთი	7 534,7	13 611,5	12 203,3	29 656,8	19 782,5	3 537,6	5 032,9
საბერძნეთი	7 006,5	5 996,2	12 258,5	8 025,1	6 186,0	2 181,5	14 747,8
საფრანგეთი	11 613,7	39 910,1	5 817,3	10 923,7	27 754,1	17 163,9	33 872,9
სლოვაკეთი	1 561,5	912,4	191,6	1 167,7	4 222,1	3 220,2	6 541,1
სლოვენია	48,8	-	1 469,1	951,4	128,7	34,9	79,7
უნგრეთი	38,0	103,3	249,6	209,5	2 160,6	308,1	405,9
ფინეთი	6 891,8	1 060,6	587,5	876,1	1 605,3	3 625,6	1 881,5
შვედეთი	90,4	66,9	216,3	49,4	423,1	895,5	68,9
ჩეხეთი	6 111,2	4 349,9	7 093,1	8 056,5	9 428,2	9 852,8	14 587,1
ხორვატია	3,2	11,4	168,8	36,7	5,4	7,3	398,1

დანართი #6

ევროკავშირიდან ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები



დანართი #7

საქართველოს 2020 წლის საპროგნოზო მიზანი

ინდიკატორი	მიმდინარე მაჩვენებელი	საპროგნოზო მაჩვენებელი
მშპ ერთ სულ მოსახლეზე	5811,7	13 000
ჯინის კოეფიციენტი	0,41	0,35
ინფლაცია (%)	-0,9	4.0
უმუშევრობა (%)	15,0	<12
გადასახადები (წილი მშპ-ში, %)	24	25
ექსპორტი (წილი მშპ-ში, %)	35	50
მიმდინარე ანგარიში (წილი მშპ-ში, %)	6.7	6
სახელმწიფო ვალის მიმართება მშპ-სთან (%)	34	<40

დანართი #8

საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2015-2018 წლებში.



დანართი #9

ექსპორტის ტენდენციები საქართველოში 2014-019 წწ (მლნ. აშშ დოლარი)



დანართი #10

უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნები ადგილობრივ ექსპორტში

	2018		2019*		ცვლილება (%)
	მლნ. აშშ დოლარი	წილი (%)	მლნ. აშშ დოლარი	წილი (%)	
სულ	2 226.2	100.0	2 352.3	100.0	5.7
მათ შორის:					
რუსეთი	383.0	17.2	432.3	18.4	12.9
ბულგარეთი	257.7	11.6	281.6	12.0	9.3
ჩინეთი	182.4	8.2	207.0	8.8	13.5
თურქეთი	224.5	10.1	188.1	8.0	-16.2
რუმინეთი	57.7	2.6	177.6	7.5	207.6
უკრაინა	113.6	5.1	132.3	5.6	16.4
აშშ	159.2	7.2	128.6	5.5	-19.3
აზერბაიჯანი	117.4	5.3	88.4	3.8	-24.7
სომხეთი	78.5	3.5	85.2	3.6	8.5
შვეიცარია	67.3	3.0	71.3	3.0	5.9
დანარჩენი ქვეყნები	584.7	26.3	559.9	23.8	-4.2